

რეგიონული მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის
ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ

2014 წელი

ქ.ბათუმი

მოამზადა: ნუგზარ სურმანიძე
რომან ბოლქვაძე
ლევან გორგილაძე
ნონა გალოგრე
ირაკლი მახარაძე
ლიზა თედორაძე
მანანა ფალავა
ლელა სურმანიძე
ნაზი მგელაძე
ირაკლი ქედელიძე
მარო ჩხაიძე
კობა ნაკაიძე

ჯანმრთელობის მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აჭარა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილია, რომელიც ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება აჭარა-გურიის, სამხრეთიდან შავშეთის, აღმოსავლეთიდან არსიანის ქედი, ხოლო დასავლეთით ეკვრის შავი ზღვა. აჭარის ფართობი დაახლოებით 2990 კვ.კმ-ია, საქართველოს ტერიტორიის 4,3%. რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 393 772-ს.

აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის დადებითი მხარეა აჭარის განლაგება სამხრეთ განედებში, დედამიწის სუბტროპიკული ზონის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში (მისი კოორდინატებია ჩ.გ. $41^{\circ} 26''$ – $41^{\circ} 53''$ და ა. გ. $42^{\circ} 33''$ და $42^{\circ} 35''$), სადაც ჩამოყალიბებულია ტენიანი სუბტროპიკული ჰავა, რომელიც ხელს უწყობს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარებას. აჭარის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი ნიშნებია: 1. აქვს პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე; 2. მდებარეობს ევროპისა და აზიის გზების გასაყარზე; 3. აჭარაზე გადის ტრანსევრაზიის საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციები; 4.გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

შავი ზღვა მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე დიდი ჩაკეტილი წყლის მასივია, სანაპირო ზოლის სიგრძე დაახლოებით 4000 კმ-ია, საიდანაც საქართველოს 320 კმ ეკუთვნის. აჭარის ზღვის სანაპირო ზონა დაახლოებით 57 კმ სიგრძისაა.

აჭარაში 1564 დიდი და პატარა მდინარეა, რომელთა სიგრძე 5 კმ-ზე მეტია. მდინარეთა საერთო სიგრძე დაახლოებით 8600 კმ შეადგენს. აჭარის მდინარეები მდინარე ქვაბლიანის და მისი შეანაკადების გარდა (კასპიის ზღვის აუზი) ყველა შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება.

ტბები აჭარაში გვხვდება როგორც დაბლობ, ისე მთიან ზოლში. მათი სიგრძე და სიგანე რამდენიმე ათეული მეტრია. ზღვისპირა ტბებია: გონიო, უსახელო, ნურიგელი და სხვა, ხოლო მთიანი აჭარის ტბებია: მწვანე ტბა, ბოძაური, წიფლნარის, ჩირუხის და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს 6 კურორტი და 17 საკურორტო ადგილი. რეგიონის კურორტებია: ქობულეთი, ციხისძირი, მახინჯაური, ბათუმი, ბეშუმი, მწვანე კონცხი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 42 დასახელების მინერალური წყალია.

საქართველოს რეგიონებს შორის აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია როგორც ფართობით, ისე ფორმირების სისტემურობითა და ტრანსლოკალური ხასიათით. დაცული ტერიტორიები აქ თავისი სტატუსების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ნაკრძალი აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, ბუნების ძეგლი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ადმინისტრაციულად ერთ თვითმმართველ ქალაქად და 5 მუნიციპალიტეტად იყოფა: ქალაქი ბათუმი - აჭარის ადმინისტრაციული ცენტრი - ფართობი 64.94 კვ.კმ; მოსახლეობა - 169 120; ბათუმი დღეისათვის სრულყოფილი სატრანსპორტო, სამრეწველო, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საკურორტო, ტურისტული, საქმიანი და საფინანსო ცენტრია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი _ ფართობი - 356,4 კვ.კმ; მოსახლეობა - 62 721 ადამიანი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი -ფართობი 741,3კვ.კმ, მოსახლეობა - 87604; ქედის მუნიციპალიტეტის ფართობი - 459კვ.კმ მოსახლეობა - 20 691; შუახევის მუნიციპალიტეტის ფართობი -588 კვ.კმ მოსახლეობა - 20 320; ხულოს მუნიციპალიტეტის ფართობი - 710 კვ. კმ მოსახლეობა - 33 316;


დემოგრაფიული სტატისტიკა:

საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაცია) შეადგენს 396 760 ადამიანს, მათ შორის: 202 139 ქალი (51%), 194 621 კაცი (49%). მოსახლეობის 43,5% (172 594 ადამიანი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 56,5% სოფლად. 0-18 წლამდე ასაკის პოპულაცია 22,5%-ია (89 579), 60 წლის ზემოთ ასაკობრივი ჯგუფი 14,9% შეადგენს (59 307).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი (2013 წლისათვის)

№		ბათუმი		ქობულეთი		ხელვაჩაური		ქედა		შუახევი		ხულო		აჭარა	
1	მოსახლეობის რაოდენობა სულ	172 594		87 770		62 653		20 586		20 125		33 032		396 760	
ა	0-5 წლამდე	12938	7,5%	6331	7,2%	4684	7,5%	1391	6,7%	1401	7%	2446	7,4%	29191	7,3%
ბ	5-12 წლამდე	13431	7,8%	6662	7,6%	4918	7,8%	1715	8,3%	1565	7,8%	3064	9,2%	31355	8%
გ	12-18 წლამდე	11349	6,5%	6077	7%	4700	7,5%	1653	8,1%	1961	9,7%	3293	10%	29033	7,3%
დ	18–60 წლამდე	108512	62,9%	55394	63,1%	40272	64,3%	12602	61,2%	11883	59%	19211	58,1%	247874	62,4%
ვ	60 წლის ზემოთ	26364	15,3%	13306	15,1%	8079	12,9%	3225	15,7%	3315	16,5%	5018	15,3%	59307	15%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის შემადგენლობა ასაკისა და სქესის მიხედვით



	0-4	5-11	12-17	18-59	60+
ქალი	13 858	14 541	13 658	124 837	35 255
კაცი	15 333	16 814	15 375	123 037	24 052

ცხრილი გვიჩვენებს, რომ აჭარის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოდის შრომისუნარიან მოსახლეობაზე 18-60 წლამდე 248 874 (62.4%), საქართველოს მიხედვით ეს მაჩვენებელი 64,5%-ია. აჭარაში შრომისუნარიან ასაკზე უფროსია მოსახლეობის საერთო რაოდენობის 15%, საქართველოს მიხედვით კი ეს მაჩვენებელი 16,5%-ს შეადგენს. ეს გამოხატულებას პოულობს საშუალო და მედიანური ასაკის მაჩვენებლებშიც: მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით აჭარაში მოსახლეობის საშუალო ასაკი იყო 32,8 წელი, მედიანური ასაკი - 30,1 წელი. საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი, შესაბამისად 36,1 და 33,6 წელს შეადგენდა (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (15დან -60 წლის)

აჭარა (მოსახლეობა- 396 760)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	10 211	22 405	16 709	30 469	29 133	25 197	134 124
კაცი	11 071	23 860	17 550	30 588	27 824	21 902	132 795
სულ	21 282	46 245	34 259	61 057	56 957	47 099	266 919
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5,3%	11,6%	8,6%	15,3%	14,3%	11,8%	67,2%

ბათუმი (მოსახლეობა- 172 594)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	4 016	9 268	7 275	13 874	13 303	12 430	60 166
კაცი	4 392	9 557	7 402	13 226	11 492	10 149	56 218
სულ	8 408	18 825	14 677	27 100	24 975	22 579	116 384
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	4,8	10,9%	8,5%	15,7%	14,3%	13%	67,4%

ქობულეთი (მოსახლეობა- 87 770)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	2 133	4 966	3 713	6 453	6 437	5 592	29 294
კაცი	2 298	5 300	3 884	6 930	6 618	5 065	30 095
სულ	4431	10 266	7 597	13 383	13 055	10 657	59 389
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	11,6%	8,6%	15%	14,8%	12,1%	67,6%

ხელვაჩაური (მოსახლეობა- 62 653)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	1 638	3 672	2 732	4 893	4 648	3 555	21 138
კაცი	1 788	4 099	2 944	5 000	4 702	3 532	22 065
სულ	3 426	7 771	5 676	9 893	9 350	7 087	43 203
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5,4%	12,4%	9%	15,8%	14,9%	11,3%	68,9%


ქედა (მოსახლეობა- 20 586)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	572	1 199	867	1 596	1 382	1 072	6 688
კაცი	626	1 250	962	1 618	1 474	1 035	6 965
სულ	1 198	2 449	1 829	3 214	2 856	2 107	13 653
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5,8%	11,8%	8,8%	15,6%	13,8%	10,2%	66,3%

შუახევი (მოსახლეობა- 20 125)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	720	1224	791	1389	1248	976	6348
კაცი	724	1 410	885	1 532	1 367	825	6743
სულ	1 444	2 634	1 676	2 921	2 615	1 801	13 091
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	7,1%	13%	8,3%	14,5%	13%	8,9%	65%

ხულო (მოსახლეობა- 33 032)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	1132	2076	1331	2264	2115	1572	10490
კაცი	1243	2244	1473	2282	2171	1296	10709
სულ	2375	4320	2804	4546	4286	2868	21199
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	7,1%	13%	8,5%	13,7%	13%	8,7%	64%

შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (აჭარა 2013 წელი)


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა სულ – 396 760



აჭარის მოსახლეობის გეოგრაფიული სტრუქტურა (2000-2013 წლები)

ქალაქი, ენციკლოპედიები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
აჭარა	400500	402900	406500	376016	379900	382565	386194	387954	390174	360526	376 536	385970	393772	396760
ბათუმი	139600	140200	140200	121806	12300	124176	124846	125478	126534	121289	130 940	154930	169120	172594
ქობულეთი	94300	94800	92600	88063	88900	89453	90292	90641	91094	82844	86 752	86610	87604	87770
ხელვაჩაური	90300	90900	94800	90843	91900	92450	93551	94111	94978	86952	85 472	69385	62721	62653
ქედა	20200	20200	20600	20024	20100	20171	20317	20433	20498	18579	19 815	20786	20691	20586
შუახევი	20200	20500	22400	21850	22000	22122	22370	22438	22257	19437	20 416	20646	20320	20125
ხულო	35900	36300	35800	33430	34000	34193	34818	34853	34813	31425	33 141	33613	33316	33032

აჭარის მოსახლეობის გეოგრაფიული სტრუქტურა (2013 წელი)



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეთნიკური შემადგენლობა (2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით)

მოსახლეობა	საერთო რიცხვი (ათასებში)	%
	376,0	100,0
ქართველი	351.1	93.4
რუსი	9.1	2.4
სომეხი	8.8	2.3
ბერძენი	2.2	0.6
აფხაზი	1.6	0.4
უკრაინელი	1.1	0.3
აზერბაიჯანელი	0.5	0.1
ოსი	0.2	0.1
სხვა ეროვნება	1.4	0.4

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი ბუნებრივი ნამატი დაფიქსირდა 1986 წელს (5 544 - მაჩვენებელი 14,9), ყველაზე დაბალი 2003 წელს (1 622 - მაჩვენებელი 4,2). 2004 წლიდან დაიწყო შობადობის მატეხის ტენდენცია (2004 წელს დაიბადა 4 457 ბავშვი. შობადობის მაჩვენებელი 11,7). 2010 წელს დაიბადა 6 127 ბავშვი, 2011 წელს - 5696 (მ.შ. სამშობიარო ქსელში დაიბადა 5659 ახალშობილი, ბინაზე-37), 2012 წელს - 5693 (მ.შ. სამშობიარო ქსელში დაიბადა 5661 ახალშობილი, ბინაზე-32).

2013 წელს რეგიონში დაიბადა 5960 ბავშვი (მ.შ. სამშობიარო ქსელში დაიბადა 5949 ახალშობილი, ბინაზე-11), მათ შორის 5894 ცოცხლადშობილი და 66 (მუცლადყოფნის 22 კვირიდან დაბადებიდან 0-6 დღე) მკვდრადშობილი, საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით აჭარის რეგიონის მკვიდრია (იურიდიული მისამართის შესაბამისად) 5732 ახალშობილი შობადობის მაჩვენებელი 1 000 მოსახლეზე 14,4. მონაცემები, შობადობის ამ უკანასკნელი მონაცემისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით დემოგრაფიული დინამიკა აჭარის რეგიონისთვის მოცემულია ცხრილში:

ქალაქი, მუნიციპალიტეტი	დაბადება		გარდაცვალება			1-5 წლამდე ასაკის კონტიგენტი	1-5 წლამდე ასაკის გარდაცვალების მაჩვენებელი (1 000-ზე)
	დაბადება	მ.შ.მკვ დრადშ ობილი	სულ	0-1 წ	1-5 წ		
ბათუმი	2575	59	1295	18	4	10 363	0,38
სხვა რეგიონის მკვიდრი	228						
ქობულეთი	1251	5	781	13	1	5080	0,19
ხელვაჩაური	932	0	480	12	6	3752	1,5
ქედა	253	1	153	2	2	1138	1,7
შუახევი	244	0	172	3	1	1157	0,8
ხულო	477	1	258	5	3	1969	1,5
აჭარა	5960	66	3139	53	17	23 459	0,7

0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილობა

წლები	აჭარა		ბათუმი		ქობულეთი		ხელვაჩაური		ქედა		შუახევი		ხულო	
	აბსოლ იტური	მაჩვენებე ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მაჩვენებე ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მაჩვენებე ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მაჩვენებე ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მაჩვენებე ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსო ლური	მაჩვენებე ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსო ლური	მაჩვენებე ლი 1000 დაბადებ ულზე
1989	183	23,1	69	31,0	35	20,2	35	18,5	10	18,9	16	26,2	18	17,4
1990	161	21,2	87	41,1	41	20,0	11	28,0	15	7,0	16	4,0	15	18,1
1991	170	22,5	70	33,1	35	19,1	40	21,3	7	17,2	6	12,1	12	14,6
1992	200	27,4	96	48,8	15	8,5	45	26,3	17	41,3	9	16,8	18	19,6
1993	239	35,8	121	68,2	33	20,8	47	28,6	15	40,2	14	35,0	9	10,0
1994	192	30,5	76	42,5	26	17,8	60	37,9	9	38,2	12	33,5	9	14,3
1995	145	26,2	81	49,9	8	7,2	19	12,9	2	5,8	21	46,2	14	28,0
1996	129	26,2	86	54,0	–	–	16	14,4	4	13,9	7	29,8	16	24,8
1997	125	24,6	45	31,5	15	17,0	30	23,4	9	26,0	13	33,5	13	17,5
1998	114	24,1	62	38,7	6	6,8	10	8,7	9	29,4	10	28,9	17	37,8
1999	95	23,1	65	44,0	5	71,0	5	5,0	8	29,6	7	21,8	5	14,7
2000	68	15,1	52	33,6	3	3,6	6	5,8	4	15,2	1	3,1	2	3,7
2001	63	14,2	44	27,6	1	1,3	3	3,0	5	18,9	6	20,9	4	7,8
2002	48	11,0	31	19,3	1	1,3	1	0,9	4	14,9	5	21,6	6	13,0

2003	42	10,6	34	21,3	–	–	1	1,0	–	–	5	24,3	2	5,2
2004	81	18,1	57	33,6	2	2,4	–	–	4	16,6	2	8,8	16	33,0
2005	69	16,8	54	33,9	1	1,3	2	2,2	3	11,0	1	5,3	8	18,4
2006	45	10,3	43	25,9	–	–	–	–	2	8,6	–	–	–	–
2007	46	18,3	40	21,6	–	–	3	2,9	–	–	1	5,7	2	5,3
2008	38	6,9	33	14,7	3	2,7	–	–	1	4,3	–	–	1	2,2
2009	69	11,2	16	5,4	19	18,1	16	12,4	6	26,7	4	18,6	8	20,3
2010	60	9,8	17	9,3	14	9,7	16	10,1	2	5,9	1	2,8	10	17,5
2011	51	9,3	9	4,5	15	11,6	17	13,6	2	6,2	2	9,1	6	15,9
2012	64	11,4	14	5,6	11	9,6	15	15,4	3	11,6	2	7,5	19	39,8
2013	53	9,2	18	6,9	13	10,3	12	12,8	2	7,9	3	12,2	5	10,4

ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წელს (18,3), ხოლო ყველაზე დაბალი - 2008 წელს (6,9). მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მომზადებულ 2009 წლის მოხსენებაში "ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ ევროპაში" 2006 წლის მონაცემებით 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილობა ევროპის რეგიონში შედგენს 7,3, დსთ-ს ქვეყნებში - 12,8, საქართველოში - 15,8, ხოლო აჭარაში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 10,3.


სსიპ დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით 2012 წლის მდგომარეობით 0–1წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში შეადგენს 12,6–ს, აჭარის საშუალო მაჩვენებელი 2012 წლისათვის 11,4–ია, 2013 წლისათვის – 9,2.

მთლიანად საქართველოში და მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლამდე იმატა იმ დედების რიცხვმა, რომელთაც სტაციონარული მონაცემების მიხედვით 3 და მეტი შვილი ჰყავთ. 2008 წელს მე-3 ბავშვის წილმა 2007 წელთან შედარებით 1,3% მოიმატა, 2009 წელს 2008 წელთან შედარებით 1 %-ით მოიმატა, ხოლო 2010 წელს 2009 წელთან შედარებით 1,9%-ით მოიმატა. 2011 წლის მონაცემებით მშობიარობათა 9,6% შეადგენდა მშობიარობას მე-3 და მეტ ახლშობილზე. 2012 წლისათვის აღნიშნული მონაცემი შეადგენდა მშობიარობათა 14,8%-ს და გასულ წელთან შედარებით ფიქსირდება მატება 5,2%-ით. 2013 წლის მონაცემებით მე-3 და მეტი ბავშვის მშობიარობა შეადგენს 718–ს, რაც საერთო მშობიარობათა 12%–ია, 2,8%–ით ნაკლები წინა წლის მონაცემთან შედარებით.

დემოგრაფიული მონაცემების დინამიკა, აჭარა 2000-2013 წწ

წელი	მოსახლეობა			შობადობა		სიკვდილობა		ზუნდბრივი ნამატი	
	სულ	ქალი	კაცი	აბსოლი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ	აბსოლი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ	აბსოლი ი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ
2000	400500	212265	188235	4501	11.2	2405	6.0	2096	5.7
2001	402900	204126	198774	4411	10.9	2121	5.2	2290	3.7
2002	406500	215039	191461	4332	10.6	2175	5.3	1743	5.3
2003	376016	206720	169296	3938	10.4	2316	6.1	1626	4.2
2004	379900	210359	169541	4457	11.7	2559	6.7	1898	5.0
2005	382565	204193	178372	4098	10,7	2153	5,6	1945	5,1
2006	386194	214068	172126	4464	11,5	2000	5,1	2388	6,2
2007	387954	215736	172218	4528	11,7	2324	5,9	2139	5,8
2008	390 174	216842	173332	5546	14,3	2444	6,2	3102	8,1
2009	360 526	198289	162237	6153	17,0	3190	8,8	2963	8,2
2010	376 536	193 274	183 859	6127	16,2	3107	8,2	3020	8,0
2011	385 970	197751	188219	5471	14,1	3239	8,3	2232	5.8
2012	393 772	201 247	192 525	5614	14,2	3224	8,2	2390	6,0
2013	396 760	202 139	194 621	5732	14,4	3139	7,9	2593	6,5

მოსახლეობის დინამიკა სქესის მიხედვით (2001-2013წწ)



ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა (აჭარა 2011-2013 წწ)

	2011 წ.			2012 წ			2013 წ.		
	სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის	
		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი
აჭარა	5471	2737	2734	5614	2694	3118	5732	2575	3157


აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული იყო გარდაცვალების 3224 შემთხვევა. მოსახლეობის მოკვდავობის სტრუქტურა ძირითადად არ შეცვლილა. მოკვდავობის სტრუქტურაში სტაციონარული მონაცემების მიხედვით, როგორც წინა წლებში ძირითადი ადგილი უჭირავს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს -37,8%, მათ შორის: გულის მწვავე ინფარქტი (18,4%), ქრონიკული იშემიური დაავადებები (3,8%), ცერებროვასკულური ავადმყოფობები 51,5%; სტაციონარული გარდაცვალების სტრუქტურაში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები 10,8%-ია, ტრავმები (18%), სუნთქვის ორგანოთა დაავადებები -16,9%, ნერვული სისტემის დაავადებები 3,1%, სიმსივნეები 3,6%.

გარდაცვლილთა რაოდენობა (აჭარა 2011-2013წწ)

	2011 წ.			2012 წ			2013 წ		
	სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის	
		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი
აჭარა	3239	1303	1936	3224	1322	1902	3139	1295	1844

2013 წელს ბინაზე გარდაცვლილთა რაოდენობამ შეადგინა 1488 მათ შორის 0-15 წლამდე გარდაიცვალა 4 (0,26%), 18 წლის და მეტი ასაკის გარდაიცვალა 1484 (99,7%) პიროვნება. ბინაზე გარდაცვლილთა მოკვდავობის სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უჭირავს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს (64,7%), სიმსივნეებს (16,3%), ნერვული სისტემის დაავადებებს (6%), სუნთქვის ორგანოების დაავადებებს (2,6%), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებებს (2,8%), ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეულ დაავადებებს (1,8%), ტრავმებით და მოწამვლებით ბინაზე გარდაიცვალა 4 პიროვნება (0,2%) მათ შორის 1 ბავშვი 5-15 წლამდე ასაკის და 3 პიროვნება 18 წლის და მეტი ასაკის.


ბინაზე გარდაცვალება, აჭარა, 2013



სოციალურად დაუცველი მოსახლეობა

2013 წელს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო სულ 180 291 სოციალურად დაუცველი (43 790 ოჯახი), მოსახლეობის საერთო რაოდენობის 45,8%. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 33 119 (7 872 ოჯახი), მოსახლეობის საერთო რაოდენობის 8.4%. სამედიცინო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობაა - 144 585, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 35,1%.


საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა (01.01.2014 წ.)



*უძველესი მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში
რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა*

რეგიონი/ რაიონი	რეგისტრირებულია რაოდენობა		საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა		საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულბთან		საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობასთან	
	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა
ბათუმი	12069	40403	1698	4991	14.1	12.4	5.2	4.0
ქედა	3303	15072	699	3205	21.2	21.3	13.1	15.6
ქობულეთი	11531	47987	1858	7871	16.1	16.4	7.7	8.5
შუახევი	3186	14204	714	3460	22.4	24.4	12.0	15.1
ხელვაჩაური	8734	39618	1205	5486	13.8	13.8	4.9	5.7
ხულო	4967	23007	1698	8106	34.2	35.2	18.2	22.6
აჭარა	43790	180291	7872	33119	18.0	18.4	7.7	8.4

ჯამრთელობის დაზღვევის პოლისის მიმღებთა რაოდენობა (01.01.2014წ.)



საარსებო შემწეობისა და ჯამრთელობის დაზღვევის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა

რაიონი/რეგიონი	საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა			სამედიცინო დაზღვევის მოსარგებლეთა რაოდენობა		
	2013 წლის 01 ივლისის მდგომარეობით	2014 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	ცვლილება %	2013 წლის 01 ივლისის მდგომარეობით	2014 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	შემცირდა %
ბათუმი	4410	4991	13.1%-მატება	41973	45666	8.7%-მატება
ქედის რაიონი	3003	3205	6.7%-მატება	10827	11003	1.6%-მატება
ქობულეთი სრაიონი	8721	7871	9.7%-კლება	33078	33453	1.1%-მატება
შუახევი სრაიონი	3226	3460	7.2%-მატება	10983	11027	0.4%-მატება
ხელვაჩაური სრაიონი	5961	5486	7.9%-კლება	25635	24202	5.5%-კლება
ხულო სრაიონი	8150	8106	0.5%-კლება	19775	19234	2.7%-კლება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	33471	33119	1,05%-კლება	142271	144585	1.6%-მატება

მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობა სარეიტინგო ქულების სხვადასხვა ჯგუფებში (2013 წლის მონაცემებით)


რეგიონი/რაიონი	არ აღემატება 57000	57001-70000	70001-100000	100001-200000	მეტია 200000-ზე	სულ
ბათუმი	1883	967	3645	4565	1009	12069
ქედა	822	595	1238	625	23	3303
ქობულეთი	2108	1395	4536	3180	312	11531
შუახევი	788	533	1277	575	13	3186
ხელვაჩაური	1332	1103	3543	2622	134	8734
ხულო	1779	841	1717	617	13	4967
აჭარა	8712	5434	15956	12184	1504	43790

მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობა სარეიტინგო ქულების სხვადასხვა ჯგუფებში (2013 წლის მონაცემებით)

რეგიონი/რაიონი	არ აღემატება 57000	57001-70000	70001-100000	100001-200000	მეტია 200000-ზე	სულ
ბათუმი	5586	3249	11960	15753	3855	40403
ქედა	3687	2971	5705	2619	90	15072
ქობულეთი	8867	6080	18864	12923	1253	47987
შუახევი	3778	2535	5595	2246	50	14204
ხელვაჩაური	6006	5289	15941	11710	672	39618
ხულო	8471	4164	7700	2613	59	23007
აჭარა	36395	24288	65765	47864	5979	180291

**მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა
(01.01.2014 წელი)**


	მოსახლეობის რაოდენობა (2012წ)	მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობა	სამედიცინო დაზღვევის მოსარგებლეთა რაოდენობა
ბათუმი	172 594	40403	45666
ქედა	20 586	15072	11003
ქობულეთი	87 770	47987	33453
შუახევი	20 125	14204	11027
ხელვაჩაური	62 653	39618	24202
ხულო	33 032	23007	19234
სულ	396 760	180291	144585



2013 წლის განმავლობაში საარსებო შემწეობაზე გადარიცხული იქნა **16 017 546** ლარი.

რაიონი/რეგიონი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
ბათუმი	137700	115824	103884	121686	110904	135288	233532	252702	278184	280044	261456	272916	
ქედის რაიონი	89634	79596	77658	81696	85026	80034	169410	178350	185124	178506	169896	170832	
ქობულეთის რაიონი	249876	212346	205140	222726	229650	228024	437526	426330	421476	454728	438492	422076	
შუახევის რაიონი	99552	89676	77508	88266	95748	91554	156504	182694	193950	197478	180354	182958	
ხელვაჩაურის რაიონი	203982	163572	136866	158556	157800	155508	299034	279588	294168	319950	289422	289032	
ხულოს რაიონი	250638	222000	196050	205092	238032	217500	409212	411108	422238	417942	424542	421200	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1 031 382	883 014	797 106	878 022	917 160	907 908	1 705 218	1 730 772	1 795 140	1 848 648	1 764 162	1 759 014	

საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხის ცვლილების დინამიკა თვეების მიხედვით
(2013 წლის მონაცემებით)



სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (2013 წელი)

რაიონი/რეგიონი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ბათუმი	16665	16728	16799	16851	16870	16936	16919	16988	17062	17156	17234	17255
ქედის რაიონი	2822	2813	2819	2811	2822	2816	2816	2827	2811	2822	2830	2837
ქობულეთის რაიონი	10971	10973	10986	11034	11071	11102	11109	10975	11081	11129	11123	11106
შუახევის რაიონი	2980	2975	2983	2980	2973	2962	2981	2980	2987	2983	2969	2969
ხელვაჩაურის რაიონი	9316	9326	9328	9313	9275	9277	9236	9170	9223	9254	9272	9256
ხულოს რაიონი	4602	4599	4589	4592	4585	4579	4594	4625	4621	4627	4634	4612
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	47356	47414	47504	47581	47596	47672	47655	47565	47785	47971	48062	48035

სახელმწიფო პენსიის მიმღებებზე გადარიცხული თანხა (2013 წელი)

რაიონი/რეგიონი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ბათუმი	2004780	2011315	2017761	2113187	2116950	2125649	2129176	2142402	2574177	2594447	2607191	2601045
ქედის რაიონი	342823	342033	343505	352946	353156	352031	353462	353352	421860	425210	425985	426800
კობულეთის რაიონი	1345620	1331426	1331205	1388493	1392554	1394043	1393853	1380912	1686232	1692270	1682237	1676250
შუახევის რაიონი	362646	362299	363093	372723	373346	370730	373305	373010	449930	448565	448175	447660
ხელვაჩაურის რაიონი	1137090	1131479	1134799	1169995	1164653	1167277	1157505	1154490	1404623	1409590	1403745	1401270
ხულოს რაიონი	561076	560075	557739	577920	575795	574870	577843	580869	695957	701500	701425	694511
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	5754034	5738626	5748101	5975262	5976452	5984598	5985142	5985033	7232779	7271582	7268758	7247538

**სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით
(2013 წელი)**

რაიონი/რეგიონი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ბათუმი	5157	5142	5150	5170	5230	5248	5244	5260	5190	5188	5228	5242
ქედის რაიონი	1210	1206	1200	1206	1202	1197	1196	1201	1181	1181	1191	1196
ქობულეთი ს რაიონი	4231	4243	4258	4241	4257	4250	4235	4199	4168	4161	4191	4187
შუახევის რაიონი	1344	1332	1332	1336	1348	1341	1340	1337	1330	1336	1328	1335
ხელვაჩაურის რაიონი	3903	3892	3887	3885	3908	3914	3885	3854	3822	3830	3838	3824
ხულოს რაიონი	2198	2177	2182	2184	2194	2194	2197	2187	2178	2173	2186	2206
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	18043	17992	18009	18022	18139	18144	18097	18038	17869	17869	17962	17990

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით

(2013 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით)

რეგიონი რაიონი	შეზღუდულიშეს აძლებლობისმქო ნეპირები	მარჩენალდაკა რგულიოჯახი სწევრი	პოლიტ რეპრესირებულ ები	სახელმწიფო ომპესაციისმი მღებები	საყოფაცხო ვრებოსუბს იდისმიმღ ებები	სხვა	სულ
ბათუმი	3753	882	121	342	139	5	5242
ქედის მუნიციპალიტეტი	1031	125	9	24	7	–	1196
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	3368	526	72	131	90	–	4187
შუახევის მუნიციპალიტეტი	1198	102	14	12	7	2	1335
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2889	494	222	122	94	3	3824
ხულოს მუნიციპალიტეტი	1937	223	17	11	16	2	2206
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	14176	2352	455	642	353	12	17990

სოციალური პაკეტის დასაფინანსებლად გადარცხული თანხა ჯგუფების მიხედვით

(2013 წლის დეკემბრის თვეში)

რეგიონი რაიონი	შეზღუდულიშე საძლებლობისმ ქონეპირები	მარჩენალდაკარგ ულიოჯახისწევ რი	პოლიტ რეპრესირებულ ები	სახელმწიფო კომპესაციის მიმღებები	საყოფაცხო ვრებოსუბს იდისმიმღ ებები	სხვა	სულ
ბათუმი	419282	89423	12947	8173	3080	275	533180
ქედის მუნიციპალიტეტი	110317	12644	963	528	139	–	124591
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	368553	53034	8194	3021	2090	–	434892
შუახევის მუნიციპალიტეტი	128162	10200	1498	264	154	110	140388
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	318600	49391	24154	2691	2354	172	397362
ხულოს მუნიციპალიტეტი	197081	22270	1819	242	374	110	221896
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1541994	236962	49575	14919	8191	667	1852308

**სახელმწიფო სუბსიდიის მიმღებთა რაოდენობა რაიონებისა და სუბსიდიის
ოდენობის მიხედვით (01.01.2014 წლის მდგომარეობით)**

რეგიონი რაიონი	სუბსიდია			
	ლარიანი სუბსიდიის მიმღები	ლარიანი სუბსიდიის მიმღები	ლარიანი სუბსიდიის მიმღები	სულ სუბსიდიის მიმღები
ბათუმი				
ქედის მუნიციპალიტეტი				
ქობულეთის მუნიციპალიტეტი				
შუახევის მუნიციპალიტეტი				
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2			
ხულოს მუნიციპალიტეტი				
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	3569			

**კომპენსაციისა და სტიპენდიის მიმღებთა რაოდენობა
(01.01.2014 წლის მდგომარეობით)**

რეგიონი რაიონი	სულ
ბათუმი	
ქედის მუნიციპალიტეტი	
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	
შუახევის მუნიციპალიტეტი	
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	
ხულოს მუნიციპალიტეტი	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	

სახელმწიფო სუბსიდიის მიმღებთა პირებზე 2013 წელს გადარიცხული თანხა

რაიონი/რეგიონი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ბათუმი	20392	20038	20009	19978	19692	19575	19174	19353	19243	19047	19083	19355
ქედის რაიონი	5196	5087	5072	4999	4963	4927	4848	4826	4681	4755	4711	4696
ქობულეთი ს რაიონი	10543	10529	10362	10617	10321	10245	10269	9906	10579	10216	9998	10005
შუახევის რაიონი	4226	4263	4254	4152	4152	4109	4101	4028	4072	3991	3927	3846
ხელვაჩაურის რაიონი	15215	14952	14852	14768	14784	14655	14431	14226	14205	14331	14241	14039
ხულოს რაიონი	5014	5005	4904	4838	4766	4687	4643	4703	4629	4652	4642	4564
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	60586	59874	59453	59352	58678	58198	57466	57042	57409	56992	56602	56505

კომპენსაციისა და სტიპენდიისათვის 2013 წელს გადარიცხული თანხა

რაიონი/რეგიონი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ბათუმი			129489	202943	211700	215967	214317	216218	229262	228656	232180	229003
ქედის რაიონი			5845	9202	10255	10255	10255	10255	10746	11142	11141	11125
ქობულეთი ს რაიონი			32202	59433	61801	61974	61858	62343	67506	67627	68852	67550
შუახევის რაიონი			3762	7490	7729	7200	7837	7797	8310	8902	8606	8796
ხელვაჩაურის რაიონი			45046	82689	90169	92622	92007	93746	102354	102344	102865	101861
ხულოს რაიონი			4090	7510	7510	7510	7510	7510	8135	8086	8086	7941
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა			220434	369267	389165	395529	393785	397869	426314	426756	431730	426276

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი, კადრები და რესურსები

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა:

ჰოსპიტალური სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება:

სამედიცინო ცენტრი/საავადმყოფო – 18 (მ/შორის 14 კერძო),

სამშობიარო სახლი - 1 (კერძო)

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება: – 20 (მ.შ. 16 კერძო)

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური _ 1

სისხლის გადასხმის სადგური _ 1

სადიაგნოსტიკო-სამკურნალო/სადიაგნოსტიკო ცენტრი - 2 (კერძო)

პირველადი ჯანდაცვის ცენტრი _ 44

თემის სამედიცინო პუნქტი _ 183

სტომატოლოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულება-106

სულ 377

№	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
1	ჰოსპიტალური პროფილის სამედიცინო დაწესებულება: სამედიცინო ცენტრი/სტაციონარი	28	20	24	23	23	19	5	4	4
2	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები: საოჯახო მედიცინის ცენტრი /პოლიკლინიკა	12	12	12	12	12	12	4	3	4
3	დისპანსერი	10	7	4	3	3	3			
4	სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	7	7	6	6	6	6	2	1	1
5	სისხლის გადასხმის სადგური	1	1	1	1	1	1	1	1	1
6	კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო -პათოლოგიის ცენტრი							1	1	–
7	პირველადი ჯანდაცვის ცენტრი	46	46	46	46	46	47	47	47	46
8	თემის სამედიცინო პუნქტი	176	176	176	177	177	178	182	181	183

2013 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებია:

ჰოსპიტალური სექტორის სამედიცინო დაწესებულება:

სამედიცინო ცენტრი/სტაციონარი 4: – შპს ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო, შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო; შპს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი, შპს ნარკოლოგიური ცენტრი;

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები:

საოჯახო მედიცინის ცენტრი/პოლიკლინიკა 4: – შპს ბათუმის N1 პოლიკლინიკა, შპს მახინჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკა; შპს ბათუმის საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი, შპს თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი;

სასწრაფო დახმარების ცენტრი-1;

სისხლის გადასხმის სადგური –1;

2013 წლისათვის კერძო სამედიცინო სექტორის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა რაოდენობა (სტომატოლოგიური დაწესებულებების გარეშე) შეადგენს 33, მათ შორის:

სს ბათუმის სამშობიარო სახლი – 1.

სამედიცინო ცენტრი ჰოსპიტალური სერვისის პროფილით – 14: შპს ჯანმრთელობის ცენტრი- მედინა, შპს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი- საგიტარიუსი, სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი –2010, სს საზღვაო ჰოსპიტალი, შპს ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის რესპუბლიკური ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ქედის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- შუახევის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ხულოს სამედიცინო ცენტრი, შპს ბათუმის რეფერალური საავადმყოფო, შპს ხელვაჩაურის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, სს ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, შპს ონკოცენტრი, შპს კლინიკა „სალვე“;

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები –16:

შპს უნიმედი აჭარა- ჩაქვის სამედიცინო ცენტრი, შპს პარაცელსი, შპს სანიტასი, შპს კლინიკა „N.G.“, შპს „რ.გიორგაძე“, შპს ბათუმის №4 პოლიკლინიკა, შპს ჩემი ოჯახის კლინიკა, შპს „დეგური მმ“, შპს კანისა და ვენსნეულებათა რეგიონული ცენტრი, შპს დია+, შპს პლასტიკური ქირურგიის ცენტრი, შპს აი ვი ეფ ცენტრი (ინ ვიტრო), სამედიცინო ცენტრი - ვია-ვიტა, შპს ენდოკრინოლოგიური ცენტრი, შპს ინტერმედიკა, შპს კარდიოსერვისი.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი-2: შპს დიაგნოსტიკური და აღდგენითი მკურნალობის ცენტრი, შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი.

№	კერძო საკუთრებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
1	სამშობიარო სახლი	1	1	1	2	3	6	4	1	1
2	ჰოსპიტალური პროფილის სამედიცინო დაწესებულება				1	1	2	10	13	14
3	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება	1	2	2	2	2	2	7	7	16
4	სამკურნალო- დიაგნოსტიკური ცენტრი	1	1	1	1	1	1	4	10	2
5	კერძო სტომატოლოგიური დაწესებულებები	81	85	89	95	107	120	98	106	106


საწოლთა ფონდი 2013 წლის მონაცემებით

	საწოლი	საწოდლე	შემოსული პაციენტი	გაწერილი	გარდაც ლილი	დატვირ თვა	ბრუნვა	დაყოვნ ება	ლეტალო ბა
ბათუმი	908	189 950	36 226	35 498	643	209	39	5,3	1,8
ქობულეთი	117	6600	1753	1712	32	56,4	14,6	3,8	1,8
ხელვაჩაური	20	609	83	83	0	30,4	4	7,3	–
ქედა	20	942	372	370	2	47	18,5	2,5	0,5
შუახევი	20	862	295	295	0	43	14,7	2,9	–
ხულო	23	2645	630	629	1	115	27,3	4,2	0,1
აჭარა	1108	201 608	39 359	38 587	678	181,9	34,8	5,2	1,7

საწოლთა ფონდი (2007-2013წწ)

№	აჭარა	საწოლი	საწოდლე	გაწერილი	გარდაც ლილი	დატვირ თვა	ბრუნვა	დაყოვნება	ლეტალო ბა
1	2007 წ.	1034	184 105	25 625	524	178,1	25,3	7,0	2,0
2	2008 წ.	1011	190 428	29 744	500	188,3	29,9	6,2	1,6
3	2009 წ.	1 036	178 667	28 476	500	172,4	27,9	6,1	1,7
4	2010 წ	1076	186 507	30 614	545	173,3	28,9	5,9	1,7
5	2011წ	1025	186847	31520	500	182.2	31.2	5.8	1.5
6	2012 წ	929	222 157	35 500	594	239,1	38,8	6,1	1,6
7	2013 წ	1108	201 608	38 587	678	181,9	34,8	5,2	1,7

საწოლთა ფონდის დატვირთვა (აჭარა, 2007-2013წწ)




საწოლთა ფონდი ზოგიერთი პროფილის მიხედვით , აჭარა, 2013 წ.

პროფილი	საწოლთა რაოდენობა	გაეწერა	გარდაიცვალა	საწოლდე	დატვირთვა	ბრუნვა	დაყოვნება	ლეტალიზა
თერაპიული	89	4054	44	12071	135,6	45,5	2,9	1
კარდიოლოგიური	31	2569	45	6151	198,4	82,8	2,3	1.7
ინფექციური (მოზრდილები)	22	440	2	2341	106,4	20	5,3	0.4
ინფექციური (ბავშვთა)	34	972		3529	103,7	28,5	3,6	
ქირურგია (მოზრდილები)	151	5213	16	23473	155,4	34,5	4.5	0.3
ქირურგია (ბავშვები)	21	1283		3011	143,3	61	2.3	
ნეიროქირურგია	31	485	1	2571	83	15,6	5.3	0.2
ორთოპედია-ტრავმატოლოგია	14	413		2066	147,5	29,5	5	
მელოგინეთა და მშობიარეთა (ახალშობილთა)	144	6635		32052	222,5	46	4.8	
გინეკოლოგიური	62	4862		12366	199,4	78,4	2.5	
ტუბერკულოზი	45	269	4	13359	296,8	5,9	49.6	1.4
ფსიქიატრიული	150	396	2	47294	315,2	2,6	119.4	0.5
პედიატრიული	67	3557		12916	192,7	53	3.6	
რეანიმაცია მოზრდილებისათვის	66	1075	529	5993	90,8	16,2	5.5	49
უროლოგია	15	331	1	1155	77	22	3.4	0.3

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემაში ერთ საწოლზე ექიმების საშუალო რაოდენობა 1,2 (გარდა ექიმ-სტომატოლოგისა), ხოლო ექთნების 1,2 (საქართველოში ექიმის საშუალო რაოდენობა 1 აღემატება), საშუალო ევროპული მაჩვენებელია ერთ საწოლზე 0,6 ექიმი. ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი (100 000

მოსახლეზე) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედგენს 432 (საქართველოს მაჩვენებელია 300,3), საშუალო სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე) შეადგენს 345, საქართველოს მაჩვენებელია 407,1.


**სამედიცინო პერსონალით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლები, აჭარა,
2000-2013 წ**



ექიმების შეფარდება საშუალო სამედიცინო პერსონალთან არის 1/1,3 (საქართველოს მაჩვენებელია 1/1,6), რაც გაცილებით ნაკლებია ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულია შეფარდება 1/4.

რეგიონში ექიმების გადანაწილება არათანაბარია. ქ.ბათუმში ექიმების რაოდენობა 1352, რაც საგრძნობლად მეტია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

**პერსონალის განაწილება ადმინისტრაციულ/ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით
(აჭარა, 2013)**




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექიმების 9% (157) 60 წლის და მეტისაა (საქართველოს მონაცემია 15%-ზე მეტი), აჭარის მაღალმთიან და დაშორებულ რაიონებში ჭარბობს ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობა.


ექიმთა ასაკობრივი სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტის დასახელება	ექიმთა რაოდენობა სულ	მ.შ.სტომატოლოგი	60 წლის ზემოთ	%
ბათუმი	1352	255	110	8
ქობულეთი	168	38	36	21
ხელვაჩაური	56	3	4	7
ქედა	47	8	2	4
შუახევი	37	2	2	5
ხულო	57	3	3	5
აჭარა	1717	309	157	9

ექიმთა ასაკობრივი სტრუქტურა (აჭარა, 2013წ)



საექიმო კადრების გადანაწილება სპეციალობების მიხედვით (2013წ.)




სამედიცინო მომსახურება

2013 წლის განმავლობაში ამბულატორიულ-პოლიკლინიკური სამსახურებისა და სოფლის ექიმების მიერ რეგისტრირებულია 300 834 დაავადების შემთხვევა (2012 წელს დაფიქსირებული იყო 243 150 შემთხვევა, ხოლო 2011 წელს - 233 586) პრევალენტობის მაჩვენებელი 75822, მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 137 207 (2012 წელს დაფიქსირებული იყო 106 242 შემთხვევა, ხოლო 2011 წელს - 92 215) ინციდენტობის მაჩვენებელი 34 581. 2013 წელს აჭარის რეგიონში ზოგადი პრევალენტობის და ინციდენტობის მაჩვენებლები ხასიათდება ზრდის ტენდენციით, რაც განაპირობა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდამ.

2013 წელს 0-15 წლის ბავშვებში რეგისტრირებული იყო 60 766 დაავადების შემთხვევა (პრევალენტობა - 82028), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 41 111 (ინციდენტობა - 55 496). ინციდენტობა მაღალია დაავადებათა შემდეგ კლასებში: სუნთქვის ორგანოთა დაავადებები (22 116 შემთხვევა, ინციდენტობა 29 854), ინფექციური

და პარაზიტული დაავადებები (7368 შემთხვევა, ინციდენტობა-9946), საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები (1855 შემთხვევა, ინციდენტობა 2504). 5 წლამდე ასაკის ბავშვებში აღრიცხულია დაავადების 16 916 ახალი შემთხვევა(ინციდენტობა - 57 949). 1 წლამდე ასაკის ბავშვებში აღრიცხული იქნა დაავადების 6078 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა - 105 925), ორივე ასაკობრივ ჯგუფში მაღალი ინციდენტობით ხასიათდება სასუნთქი სისტემის დაავადებები.

პოლიკლინიკური დახმარება (სულ დაავადებები), აჭარა 2001-2013წწ




2013 წელს სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა სულ იყო 786 296 (მათ შორის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში - 233 041, ფიზიკურ პირებთან -130 772, სტაციონარებში_ 329 859, სტომატოლოგიური პოლიკლინიკები - 92624), ერთ სულ მოსახლეზე იყო 1.98. პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიერ 24 948 პაციენტი გამოსაკვლევად გაგზავნილი იქნა პოლიკლინიკებში, 402 პაციენტი - დისპანსერებში, 1482 სტაციონარში.

2013 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტაციონარებში სამკურნალოდ შემოვიდა 39 359 ავადმყოფი. უკანასკნელ წლებში აღინიშნება ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლის ზრდა. საანგარიშო წელს ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე შეადგენს 9920 (2012 წლის მაჩვენებელია _ 9214, ხოლო 2011 წლის მაჩვენებელია 8426,3). პაციენტთა მიერ გატარებული საწოლდღეების რაოდენობამ 9%-ით იკლო და 201 608 შეადგინა (2012წ. - 222 157). 2013 წელს საწოლთა ფონდის გამოყენების მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით

შემცირებულია: საშუალო დატვირთვა – 181,9 (2012 წელი – 239, 2011 წლის მაჩვენებელი 182,2), ბრუნვა – 34,8 (2012 წელი– 39,1; 2011 წლის მაჩვენებელი 31,2) და საწოლზე დაყოვნება 5,2 (2012 წელი– 6,1; 2011 წლის მაჩვენებელი 5,8). დატვირთვისა და დაყოვნების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ფსიქიატრიული და ტუბერკულოზის პროფილის საწოლები.

საანგარიშო წელს სტაციონარებიდან გაეწერა 38 587 ავადმყოფი. სტაციონარში გარდაიცვალა 678 ავადმყოფი. ლეტალობის მაჩვენებელმა 2013 წელს 1,7 შეადგინა (2012 წლის მაჩვენებელია 1,6) ავადმყოფთა საერთო რაოდენობიდან 18,6 % (7213) 0-15 წლამდეა (ლეტალობა 0,4%), 47%-ს (3215) 0-1 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენენ (ლეტალობა 0,9%). დაავადებათა კლასების მიხედვით საავადმყოფოდან გასული ავადმყოფებიდან 28% ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანის, 17,3 % სუნთქვის ორგანოთა, 10,8 % სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების კლასების დიაგნოზით არის გასული.

სტაციონარიდან გასული ავადმყოფები დიაგნოზების მიხედვით (2013წ)




საანგარიშო წელს სტაციონარიდან გაეწერა 7213 ბავშვი (ჰოსპიტალიზაციის დონე 1000 ბავშვზე უდრის 97). მათ შორის ერთ წლამდე ასაკის 3215, (ჰოსპიტალიზაციის დონე 1000 ბავშვზე შეადგენს 560). ერთ წლამდე ასაკის ბავშვების ჰოსპიტალიზაციის დონე მაღალია სასუნთქი სისტემის დაავადებების (344 - 1977 შემთხვევა), პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ცალკეული მდგომარეობების (136 - 781 შემთხვევა) და ინფექციური და

პარაზიტული დაავადებების (43 – 250 შემთხვევა) კლასებში. აჭარის ჰოსპიტალურ სექტორში აღირიცხა 0-15 წლამდე ასაკის 34 გარდაცვლილი ბავშვი, აქედან 0 – 1 წლამდე ასაკის 31. რაც შეადგენს 0-15 წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა (34) - 91%-ს.

2013 წელს სტაციონარებში ჩატარებულია 13 340 ოპერაცია, (2012 წელს - 17038 ოპერაცია) ჩატარებული ოპერაციების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე შეადგენს 3362 (2012 წლის მაჩვენებელია 4326.8) 15 წლამდე ასაკის მოსახლეობაში ჩატარებულია 1035 ოპერაცია (მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 1397). ოპერაცია გაუკეთდა 11 392 ავადმყოფს, მათ შორის 1035 ბავშვს. გარდაიცვალა 19 ნაოპერაციები ავადმყოფი (2012 წელს გარდაიცვალა 30) ლეტალობის მაჩვენებელია 0.16% (2012 წელს ლეტალობის მაჩვენებელი იყო 0,18%). ჩატარებული ოპერაციების 40,8% შარდსასქესო სისტემის დაავადებებზე მოდის (მათ შორის 59,6% სამეანო გინეკოლოგიურ დაავადებებს უჭირავს), 13% საჭმლის მომნელებელი სისტემის და მუცლის ღრუს ორგანოებზე ჩატარებული ოპერაციებია. 2012 წელს ჩატარდა 3511 გადაუდებელი ოპერაცია (2012 წელს - 1567) რაც სტაციონარში ჩატარებული ოპერაციების 26% შეადგენს. სტაციონარული ოპერაციების 93% - ქ.ბათუმზე მოდის, 4,2% - ქობულეთის, 0,6% - შუახევის, 1% - ქედის, 1% - ხულოს მუნიციპალიტეტებზე მოდის.

ოპერაციების პროცენტული გადანაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით



2013 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 1 სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ქალაქ ბათუმში, მუნიციპალიტეტების სასწრაფო დახმარების სამსახურები წარმოდგენილი იყვნენ შპს „უნიმედი აჭარის“ შესაბამის

მუნიციპალურ სამედიცინო ცენტრების დქვემდებარებით, გარდა ხელვაჩაურისა, რომელიც ქალაქ ბათუმის შესაბამის სამსახურს შეუერთდა.

აჭარის რეგიონში სასწრაფო დამარებას ემსახურება 104 ექიმი, 108 საშუალო სამედიცინო პერსონალი და 144 სხვა დანარჩენი. გამსვლელი ბრიგადების რაოდენობა 26. შესრულებულია 92 988 გასვლა, დახმარება აღმოუჩინეს 91 550 პირს, მათ შორის 30 111 სოფლის მცხოვრებს. 15 წლამდე ასაკის კონტინგენტთან 18 057 გამოძახება შესრულდა. სამედიცინო დახმარების საერთო რიცხვიდან სახელმწიფო სტანდარტებით დახმარება გაეწია 88 679 პირს. ჰოსპიტალიზაცია ჩატარდა 20 742 შემთხვევაში.

ონკოლოგია

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად მსოფლიოში სიმსივნით 11 მილიონი ახალი შემთხვევის დიაგნოსტიკა ხდება და ლოკალიზაციის მიხედვით საშუალოდ ყოველწლიურად 1,3 მლნ ადამიანი იღუპება ფილტვის კიბოს დიაგნოზით, 1 მლნ-მდე - კუჭის, 662 ათასი - ღვიძლის, 655 ათასი - სწორი ნაწლავის, 502 ათასი - ძუძუს კიბოთი. სიმსივნეებით ავადობა ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებულია როგორც ევროპის მაღალგანვითარებულ, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. სიმსივნეებითაა გამოწვეული დასავლეთ ევროპაში მოკვდავობის ერთი მესამედი, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში - მეხუთედი, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში - 10%. სიმსივნეებს შორის ავადობის მაღალი ტვირთით გამოირჩევა მამაკაცებში სუნთქვის ორგანოების და ქალებში სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში რეგისტრირებულია კიბოთი ავადობის მატება.

2013 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით გამოვლინდა 716 შემთხვევა, რაც 2012 წელთან შედარებით 6,8%-ით (670) მეტია, წინა ორი 2011-2012 წლების მონაცემებით ადგილი ჰქონდა ავადობის მატების ტენდენციას: 2011 წელს გამოვლინდა 551 ახალი შემთხვევა, 2012 წელს - 670 ახალი შემთხვევა.

ახალი შემთხვევები 2011-2013 წწ, აჭარა




კიბოს დიაგნოსტიკის დროს ძირითადი ადგილი უჭირავს დაავადების შორსწასულ სტადიებს, როგორც წესი შემთხვევათა 50-60%-ში კიბო ვლინდება დაავადების III-IV სტადიაში. აღნიშნულის გამო ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ავადმყოფთა რადიკალური მკურნალობა, მცირდება მათი განკურნების და სიცოცხლის გახანგრძლივების შანსები და მატულობს სიკვდილიანობა.

2013 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 3480 ავადმყოფი (პრევალენტობა 877) გამოვლენილია სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზის 716 შემთხვევა (ინციდენტობა 180), რაც 6,8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით (2012 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე მყოფი 3543 ავადმყოფიდან ახალ შემთხვევათა წილი შეადგენდა 18,9%-ს, 670 შემთხვევა). 2013 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეებით აღრიცხულ ავადმყოფებში 48% ქალია (343), 52% მამაკაცი (373).

2013 წელს ისევ მაღალია დაავადების IV სტადიაში გამოვლენილ შემთხვევათა რაოდენობა 252 შემთხვევა 35% (2012 წლისათვის აღნიშნული მონაცემი შეადგენდა 267 - 40,1%), ონკოლოგიური ავადმყოფების მხოლოდ 48% დაუდგინდათ დაავადების I და II სტადია (I სტადია - 96 (13,4%), II სტადია 248 (34,6%)). ხოლო III სტადიის (რაც შემთხვევათა 40-60%-ში აქვეითებს მკურნალობის ეფექტურობას დაავადების ლოკალიზაციის მიხედვით) მქონე პაციენტთა (118) ხვედრითი წილი 16,5% შეადგენდა.

ონკოლოგიური პათოლოგიების (ახალი შემთხვევები) ხვედრითი წილი სტადიების მიხედვით, აჭარა, 2009-2013 წწ



2013 წლის მონაცემებით სიმსივნური დაავადებებით ავადობის სტრუქტურაში I ადგილი უკავია სარძევე ჯირკვლის კიბოს (22%), II ადგილი ადგილი კანის ავთვისებიან სიმსივნეებს (15,7%), III– ფილტვის კიბოს (8,2%), IV ადგილზე – საშვილოსნოს ყელის კიბო (5,2%), V ადგილი– ხორხის კიბო (4,9%), VI ადგილზე წინამდებარე ჯირკვლის კიბო (3,6%), კუჭის კიბო (3,4%), შარდის ბუშტის (3,3%) და სწორი ნაწლავის კიბო (1,9%).

სიმსივნური დაავადებების გავრცელების თავისებურებები სქესის მიხედვით შემდეგია; ქალებში 32%-სარძევე ჯირკვლის, 21%-სასქესო ორგანოების ავთვისებიან სიმსივნეებზე მოდის. ე.ი. ქალებში ონკოლოგიური ავადობის (სიცოცხლეში პირველად) 50% რეპროდუქციული ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეების წილად მოდის. ავადობის მაჩვენებელი მატულობს ასაკის პროპორციულად, აღნიშნული პათოლოგიებით (2013 წლის მონაცემებით) მაღალი ავადობის ასაკია 45-70 წელი, მ.შ.მაქსიმალური 55-59 წელი (ასაკობრივი ინციდენტი - 21,5).


მამაკაცებში ლოკალიზაციის მიხედვით სიცოცხლეში პირველად დადგენილი სიმსივნეების სტრუქტურაში პირველ ადგილზეა 35,3%-სუნთქვისა და გულმკერდის ორგანოების, მეორე ადგილზე საჭმლის მომნელებელი ორგანოების სიმსივნეები -17,2%, მესამე ადგილზე მელანომა და კანის სხვა ავთვისებიანი სიმსივნეები 16,4%, მამაკაცის სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები-11,8%. საერთო ჯამში მამაკაცებში ონკოლოგიური ავადობის ნახევარზე მეტი სასუნთქი გზებისა და კუჭნაწლავის სიმსივნეებითაა გამოწვეული (52,5%). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სასუნთქი ორგანოების სიმსივნეებით ავადობის მაღალი მაჩვენებელი 50-79 წლის ასაკზე მოდის მ.შ. მაქსიმუმი 60-64 წლის ასაკზე (17,4%).

2013 წელს ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებული ავადმყოფებიდან გარდაიცვალა 360 პაციენტი (10,3%), მათ შორის დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა 101 (14%).


სპეციალური მკურნალობა უტარდებოდა ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ II კლინიკური ჯგუფის 377 ავადმყოფს, მკურნალობა დაამთავრა 296 ავადმყოფმა, ქირურგიული მეთოდით მკურნალობა ჩატარდა 77 ავადმყოფს, სხივური მეთოდით 59, მხოლოდ მედიკამენტებით 48 ავადმყოფს.

სტაციონარებში ჰოსპიტალიზირებულია 549 შემთხვევა.


სარძევე ჯირკვლის კიბოს გავრცელების დინამიკა, აჭარა 2001-2013 წწ



ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის კიბოს ინციდენტობა სქესის მიხედვით, აჭარა 2001-2013 წწ



საშვილოსნოს ყელის სიმსივნეების დინამიკა, აჭარა 2001-2013 წწ




დედათა ჯანმრთელობა

საქართველოში არსებული რთული დემოგრაფიული სიტუაციის ფონზე უმნიშვნელოვანესია დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება და მოკვდავობის შემცირება.

2013 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმშობიარა 5936 ქალმა, რაც წინა წელთან შედარებით 243 მშობიარობით მეტია (2012 წ - 5693 მშობიარე), მათგან 5925 ქალმა (99,8%) იმშობიარა სამშობიარო სახლებში, 11 ქალმა (0,4%) ბინაზე. სამედიცინო დაწესებულებებში დაიბადა 5894 ცოცხალი ბავშვი, მათგან 5727 (96%) ახალშობილს ჩაუტარდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა, ხოლო 5208 (87,5%) ახალშობილს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა.

მშობიარობის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

№	ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება	მშობიარეთა რაოდენობა			%
			ჰოსპიტალური	ბინაზე	ჯამი	
1	ბათუმი	ბათუმის სამშობიარო სახლი	3339	3	3342	56%
		დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი	789	1	790	13%
		ჯანმრთელობის ცენტრი "მედინა"	627	1	628	10,5%
		შპს ბათუმის რეფერალური საავ-ფო	375		375	6%
		სს საზღვაო ჰოსპიტალი	74		74	1,2%
2	ხელვაჩაური					
3	ქობულეთი	უნიმედი აჭარა-სამედიცინო ცენტრი	341	3	344	5,8%
		სს სამედიცინო ცენტრი	38		38	0,6%
4	შუახევი	სამედიცინო ცენტრი	62		62	1%
5	ხულო	სამედიცინო ცენტრი	225	3	228	3,8%
6	ქედა	სამედიცინო ცენტრი	55		55	0,9%
7	აჭარა		5925	11	5936	




2013 წელს ჩატარდა 2457 საკეისრო კვეთის ოპერაცია (25%-ით მეტია ვიდრე წინა წელს, 2012 წელს - 1952), რაც მშობიარეთა საერთო რაოდენობის 41%-ს შეადგენდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ წლიდან წლამდე მნიშვნელოვანია საკეისრო კვეთის ხვედრითი წილი. სასწრაფო საკეისრო კვეთა ჩატარდა 60,5%-ში (1488), ხოლო გეგმიური (969) 39,5%-ში. 2012 წელს საკეისრო კვეთათა თანაფარდობა იყო - სასწრაფო - 57%, გეგმიური - 43%.

ბუნებრივი გზით და საკეისრო კვეთით მშობიარობის პროცენტული შეფარდება

მშობიარობა	2011 წელი		2012 წელი		2013 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ბუნებრივი გზით	3547	63,0	3741	65	3479	58,6
საკეისრო კვეთით	2083	37,0	1952	35	2457	41,4


ბუნებრივი გზით და საკეისრო კვეთით მშობიარობის პროცენტული შეფარდება
აჭარა, 2013 წელი



გეგმიური და სასწრაფო საკეისრო კვეთის პროცენტული შეფარდება

საკეისრო კვეთა	2011 წელი		2012 წელი		2013 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
გეგმიური	1107	53,2	824	43	979	39,5
სასწრაფო	976	46,8	1128	57	1488	60,5

გეგმიური და სასწრაფო საკეისრო კვეთის პროცენტული შეფარდება
აჭარა, 2013 წელი




2013 წელს დაფიქსირდა პერინატალური სიკვდილობის 66 შემთხვევა 1000 საერთო დაბადებულზე მაჩვენებელი - 11 (2012 წელს- 52, მაჩვენებელი - 9,2; 2011 წელს დაფიქსირდა - 82 შემთხვევა მაჩვენებელი - 14,5).

2013 წელს 0-6 დღემდე ასაკის 17 ახალშობილი გარდაიცვალა, ადრეული ნეონატალური სიკვდილობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე - 2,8, (2012 წელს გარდაიცვალა 0-6 დღემდე ასაკის 11 ახალშობილი; 2011 წელს - 33, მაჩვენებელი შესაბამისად -1,9; 5,8)

პერინატალური დანაკარგების სტრუქტურული შეფარდება (2010-2013წ)

პერინატალური დანაკარგი	2011 წელი		2012 წელი		2013 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ანტენატალური	48	58,5	35	67,3	38	57,5
ინტრანატალური	1	1,2	6	11,5	11	16,7
პოსტნატალური	33	40,2	11	21,2	17	25,8

პერინატალური დანაკარგების სტრუქტურული შეფარდება
აჭარა, 2013 წელი




ორსულობისა, მშობიარობის და აბორტის გართულებებთან დაკავშირებული დედათა მოკვდავობა წარმოადგენს თავისებურ ინდიკატორს, რომელიც ასახავს არა მარტო ორსულთა

ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ ფერტილური ასაკის ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობას მთლიანად.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დედათა გარდაცვალების შემთხვევა მერყეობს 1-3 შორის. დედათა გარდაცვალება არ დაფიქსირებულა 2007, 2010, 2011, 2012 და 2013 წლებში. 2008 წელს დედათა გარდაცვალების 3 შემთხვევა დაფიქსირდა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მომზადებულ 2009 წლის მოხსენებაში "ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ ევროპაში" 2006 წლის მონაცემებით დედათა სიკვდილობა ევროპის რეგიონში შედგენს 12,9, დსთ-ს ქვეყნებში - 25,3, საქართველოში - 23,0, ხოლო აჭარაში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 22,7.


დედათა გარდაცვალების დინამიკა აჭარა, 2001-2013 წწ



2013 წელს ქალთა კონსულტაციებში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 6881 ქალი, მათ შორის 2013 წელს შემოსული 6840 (2012 - 7931); ორსულთაგან 12 კვირის ორსულობის ვადამდე აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 5399 (78%). კონსულტაციის 4 სრულ ვიზიტზე მიმართა 4737(88%), მ.შ. რეზუს ფაქტორზე გამოიკვლიეს 5288 (98%), სიფილისზე - 5069 (94%), აივ ინფექციაზე 5177 (96%) ორსული.

ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანის გართულებების გამომწვევ დაავადებათა განხილვით ვლინდება, რომ 2013 წელს ანემიათა ხვედრითი წილი შეადგენს - 34,4%, შარდსასქესო სისტემის დაავადებები 17,5%, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია 8,5%, ვენური დარღვევები 11,2%, ეკლამსია და პრეეკლამსია 5,1%.


ორსულობის პერიოდში ქალთა კონსულტაციებში გამოვლენილი დაავადებები %



საანგარიშო წელს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებს მიმართა 6680 (2012წელს– 5685) პაციენტმა. ოჯახის დაგეგმვის პროცესში კვლავ წამყვანი ადგილი უკავია აბორტს, რომლის მხოლოდ აღრიცხული შემთხვევების საერთო რაოდენობამ 2013 წელს შეადგინა 4037 (2012 წელს - 3364,) თვითნებური აბორტის საერთო რაოდენობა - 507 (12,5%), ხელოვნური აბორტი - 3021 (75%), (მათ შორის 1458 „მინი აბორტია“), სხვა და დაუზუსტებელი აბორტი - 509 (12,5%), აბორტების რაოდენობა კვლავ მაღალია, ჯერ კიდევ დაბალია კონტრაცეპტივების მომხმარებელ ქალთა რაოდენობა.

აბორტების პროცენტული გადანაწილება

აბორტები	2011 წელი		2012 წელი		2013 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
თვითნებური	445	15.2	357	10,6	507	12,5
სამედიცინო (ხელოვნური)	2262	77.68	2463	73,2	3021	75
მათ შორის "მინი"	199	6.8	775	35	1458	
სხვა და დაუზუსტებელი აბორტი	205	7	544	16.1	509	12,5
ჯამი	2912		3364		4037	



ფტიზიატრია

მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზი განკურნებადი დაავადებების რიცხვს მიეკუთვნება, დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი ტუბერკულოზით ინფიცირებულია, ყოველწლიურად კი 8 მილიონზე მეტი ახალი შემთხვევა და 2 მილიონამდე გარდაცვალება რეგისტრირდება. ამიტომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ტუბერკულოზი გლობარულ პრობლემად გამოაცხადა.


საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ DOTS სტრატეგიაზე ორიენტირებული მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამის შექმნამ და დანერგვამ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ერთგვარად მოაწესრიგა. აღინიშნა ტუბერკულოზის კონტროლირებადი ნიშნები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს ექვსი DOTS წერტილი. ექვსივე ქ.ბათუმშია განლაგებული.

უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობა DOTS წერტილებზე ხორციელდება შემთხვევათა 97%.

მუნიციპალიტეტების დონეზე DOTS ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისა და თემის სამედიცინო პუნქტებში.


2013 წელს რეგიონში რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 495 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 124,7), რაც წინა წელთან შედარებით 17-ით მეტია (2012 წელს აღირიცხა 478 ახალი შემთხვევა); მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობამ 383 შეადგინა (2012 წელს-ფილტვის ახალი 326 შემთხვევა).

ტუბერკულოზით დაავადებულობის დინამიკა 2006-2013წწ




2013 წელს სულ რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 659 შემთხვევა (პრევალენტობის მაჩვენებელი 166), მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის 547 შემთხვევა (2012 წელს-534 შემთხვევა). 2013 წელს რეგისტრირებულია ფილტვგარეშე ტუბერკულოზის 112 შემთხვევა, რაც 40-ით ერთეულით ნაკლებია წინა წელთან შედარებით (2012წ-152).


ფილტვგარეშე ტუბერკულოზის განაწილება ფორმების მიხედვით (%)



2013 წელს სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 273 პაციენტი, მათ შორის მჟავაგამძლე ბაქტერია + 138 შემთხვევა დაფიქსირდა.



2013 წელს რეგისტრირებული ტუბერკულოზის 659 შემთხვევიდან 46 რეზისტენტული ფორმა დაფიქსირდა (2012 წელს 686 რეგისტრირებული შემთხვევიდან 57 რეზისტენტული ფორმა; 2011 წელს 621 შემთხვევიდან 46 რეგისტრირებული).




სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ავადობის ტვირთის შეფასებისას ევროპის რეგიონში, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები პირველ ადგილზეა, მსოფლიო მოსახლეობის ავადობის სტრუქტურაში გულსისხლძარღვთა დაავადებებს წამყვანი ადგილი უჭირავს (მოსახლეობის 20%).


აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 36 216 შემთხვევა (არაჰოსპიტალური) (2012 წელს - რეგისტრირებული იყო 32975 ავადმყოფი, 2011 წელს - 33242), გასული წლის მონაცემთა შედარებით დაფიქსირდა მატება 9%-ით. პრევალენტობა შეადგენს 9127. სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 7873 პაციენტი, ინციდენტობა კი 1927, მათ შორის 80 ბავშვი, ინციდენტობის მაჩვენებელი 101,5 (100 000 მოსახლეზე).

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების დინამიკა 2001-2013წწ




2013 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულ ავადმყოფთა რაოდენობამ წინა წელთან შედარებით 794 შემთხვევით მოიმატა და მთლიანად ცხოვრებაში პირველად რეგისტრირებულ ავადმყოფთა 10% შეადგინა.

გულსისხლძარღვთა სისტემის რეგისტრირებული დაავადებების სტრუქტურაში აღირიცხა სულ 36 216 შემთხვევა, მ.შ. 62,7 % უკავია ჰიპერტონულ, 24,7%-გულის იშემიურ, 0,8% რევმატიული დაავადებებს. გულის იშემიური დაავადების შემთხვევების შორის - 8% გულის მწვავე ინფარქტია, 39% სტენოკარდია.



რეგიონის სტაციონარებში სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით 4213 ავადმყოფი დარეგისტრირდა (შეადგინა 11 446 საწოლდღე) აქედან 260 გარდაიცვალა (ლეტალობის მაჩვენებელი - 6,1). არტერიული ჰიპერტენზიით გატარდა 394 ავადმყოფი (676 საწოლდღე), სტენოკარდია დაუდგინდა 1148 პაციენტს (2274 საწოლდღე) აქედან გარდაიცვალა 4 ავადმყოფი (ლეტალობის მაჩვენებელი - 0,09, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 1,5%). მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით დარეგისტრირდა 721 ავადმყოფი (2348 საწოლდღე), გარდაიცვალა 48 (ლეტალობის მაჩვენებელი 1,1 გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 18,4%). გულსისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებებით (დილატაციური და ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია, გულის მწვავე უკმარისობა) რეგისტრირებულია 876 ავადმყოფი (1996 საწოლდღე), გარდაიცვალა 39 (ლეტალობის მაჩვენებელი - 0,9%, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 15%), გულის ქრონიკული იშემიური დაავადებით რეგისტრირდა 55 ავადმყოფი (109 საწოლდღე) გარდაიცვალა 10 (ლეტალობის მაჩვენებელი - 0,2, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 3,8%). ცერებროვასკულარული დაავადებები - სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, ინტრაცერებრული და სხვა ინტრაკრანირი არატრავმული სისხლჩაქცევები, თავის ტვინის ინფარქტი - 194 შემთხვევა (საწოლდღე - 1204) 134 გარდაცვალება (ლეტალობა 3,2; გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 53%).

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და გარდაცვალების მიზეზები სტაციონარებში, აჭარა, 2013 წელი



გულისხილმარღვა დაავადებების პროფილაქტიკა და მათ მიერ გამოწვეული მოკვდავობა მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, რაც ჯანდაცვის სამსახურების ხარისხიან მუშაობაზე ნაკლებად არის დამოკიდებული.

ენდოკრინოლოგიური დაავადებები


მთელს მსოფლოში, მათ შორის საქართველოშიც ფიქსირდება ენდოკრინულ დაავადებათა ზრდის ტენდენცია. ენდოკრინოპათიების სოციალური და სამედიცინო მნიშვნელობა მდგომარეობს საბიუჯეტო სახსრების ზრდაში ავადობის ზრდასთან ერთად. ეს განპირობებულია იმით, რომ ავადმყოფები (შემთხვევათა უმეტესობაში) საჭიროებენ სპეციფიურ მედიკამენტებს, მთელი ცხოვრების მანძილზე ჩანაცვლებით ჰორმონალურ მკურნალობას, სპეციფიურ საკვებ პროდუქტებს.

2013 წლის მონაცემებით აჭარაში რეგისტრირებულია 22 953 პაციენტი (2012 წ-18 368 პაციენტი; 2011წ- 20 331). პრევალენტობის მაჩვენებელი 5785 (2012წ პრევალენტობის მაჩვენებელია 4664; 2011 წლის პრევალენტობის მაჩვენებელია 5267), მათ შორის ცხოვრებაში პირველად გამოვლენილი დიაგნოზით 5247 (2012 წლისათვის ახალ შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა 3451; 2011 წლისათვის კი 3176) ინცინდენტობის მაჩვენებელია 1322

(ინცინდენტობის მაჩვენებელი 2012 წლისათვის ინცინდენტობის მაჩვენებელია 876; 2011 წლისათვის -822).

ენდოკრინოლოგიური პათოლოგიების სტრუქტურა 2013 წელს განაწილებულია შემდეგი სახით: იოდდეფიციტური დაავადებები ჰიპოთირეოზით-18%, ფარისებრი ჯირკვლის თირეოტოქსიკოზით მიმდინარე დაავადებები-5%, თირეოიდიტი 4,5%, შაქრიანი დიაბეტი (ტიპი 1), ინსულინდამოკიდებული-12,9%, შაქრიანი დიაბეტი, ტიპი 2, ინსულინდამოუკიდებელი-38,6%;

ენდოკრინოლოგიური პათოლოგიები, აჭარა, 2013 წელი



ენდოკრინული დაავადებების სტრუქტურა, პრევალენტობა, ინციდენტობა


ნოზოლოგიები	2011				2012				2013			
	აბალი შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა	აბალი შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა	აბალი შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა
ჰიპოთირეოზით მიმდინარე იოდდეფიციტური დაავადებები	668	3500	173	906,8	952	3910	241,7	992,9	1349	4142	340	1043
კვანძოვანი ჩიყვი	583	3727	151	965,6	607	607	154,1		354	354	89	
თირეოტოქსიკოზით მიმდინარე ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები	183	934	47,4	241,9	222	1008	56,4	255,9	288	1143	72,5	288
შაქრიანი დიაბეტი, ინსულინ-დამოკიდებული	168	2461	43,5	637,6	200	2629	50,8	667,6	247	2961	62	746
შაქრიანი დიაბეტი, ინსულინ-დამოუკიდებელი	515	7778	133,4	2015	739	7486	187,7	1901,1	790	8875	199	1886

აღსანიშნავია, რომ შაქრიანი დიაბეტის რეგისტრირებულ პაციენტების რაოდენობა რეალურ შემთხვევათა 2/3-ს შეადგენს და პირველად დგინდება უკვე განვითარებული შაქრიანი დიაბეტის გართულებების ფონზე: მიკრო-მაკროანგიოპათია (ინსულტი, ინფარქტი), პოლინეიროპათია, დიაბეტური ტერფი, ნეფროპათია, რეტინოპათია და სხვა.


სასუნთქი ორგანოების დაავადებები

2013 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 62 728 შემთხვევა, დაავადებულობის მაჩვენებელი - 15 810 (2012 წელს - 51 886 შემთხვევა, პრევალენტობა 13 176; 2011 წელს 44 093 შემთხვევა, პრევალენტობა 11 423) მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 36 409, რაც რეგისტრირებული დაავადებების 58% შეადგენს, ავადობის მაჩვენებელი - 9 176 (2012 წელს - 30 394 შემთხვევა, ინციდენტობა - 7718; 2011 წლისათვის რეგისტრირებული აღნიშნული ნოზოლოგიების დიაგნოზი პირველად სიცოცხლეში განესაზღვრა - 24 196 პაციენტს და ინციდენტობამ შეადგინა 6268). 15 წლამდე ასაკის ბავშვებში რეგისტრირებული იყო სასუნთქი ორგანოების დაავადებების 32 596 შემთხვევა, ავადობის საერთო მაჩვენებელი ამ ასაკობრივ ჯგუფში - 44 048 (2012 წელს 28 247 შემთხვევა; 2011 წელს 19 579 შემთხვევა), (2012 წლის დაავადებულობის მაჩვენებელი - 38958,7, 2011 წლის მაჩვენებელი - 27618,8), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით - 22 116 (2012 წელს - 17 117), ავადობის მაჩვენებელი 29 886 (2012 წლის მაჩვენებელი - 22003,2; 2011 წლის ავადობის მაჩვენებელია- 17446,7). სასუნთქი ორგანოების დაავადების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს ზედა სასუნთქი გზების მწვავე დაავადებებს (52%), პნევმონიებს (4%), ქრონიკულ და დაუზუსტებელ ბრონქიტებს (3,2%), ასთმას და ასთმურ სტატუსს (2,1%).

სასუნთქი სისტემის დაავადებების პროცენტული გადანაწილება



სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობების დინამიკა (2001-2013წწ.)




სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით რეგიონის სტაციონარებში მკურნალობდა 6716 ავადმყოფი (2012 წელს 5681). აქედან 3447 ბავშვი, მათ შორის ერთ წლამდე ასაკის - 1977. სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით სტაციონარებში გარდაიცვალა სულ 117 (2012წ-62) ავადმყოფი (ლეტალობა - 1,74) მათ შორის 0-1 წლამდე - 2. პნევმონიით - 37 (ლეტალობა - 0,5), ფილტვის სხვა ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები 6 (ლეტალობა - 0,08).

ასომა ჯანდაცვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში, დღეისათვის ასთმით დაავადებულია მთლიანი პოპულაციის 5%.

2012 წელს რეგიონში ბრონქული ასთმის დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 1321 1152 ავადმყოფი (2012 წელს -1152), დაავადებიათობის მაჩვენებელი - 332, ასთმის დიაგნოზი სიცოცხლეში პირველად დაუდგინდა 193 ავადმყოფს (2012 წელს- 127) ინციდენტობა - 48,6.

ბრონქული ასთმის დინამიკა (2001-2013 წწ.)




ბრონქული ასთმის დიაგნოზით სტაციონარში გატარებული იყო 52 ავადმყოფი, გატარებული საწოლდღეების რაოდენობაა 156.

ნერვული სისტემის დაავადებები

2013 წელს ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულია 3125 პაციენტი, ინციდენტობა 787,6; 2012 წელს იგივე მონაცემი შეადგენდა 2407 შემთხვევას, ავადობის მაჩვენებელი 611, 2011 წელს - 3473 შემთხვევა, ავადობის მაჩვენებელი 899. 2013 წელს აღირიცხა ნერვული სისტემის დაავადებების 10 063 შემთხვევა, პრევალენტობა 2536.


ნერვული სისტემის დაავადებების დინამიკა (2001-2013წწ)



15 წლამდე ასაკში რეგისტრირებული შემთხვევებიდან პირველადია 266, ინციდენტობის მაჩვენებელი 359.

ნერვული სისტემის დაავადებებში წამყვანი ადგილი უჭირავს პერიფერიული ნერვული სისტემის ავადმყოფობებს - ამ დიაგნოზით 2012 წლის პირველად ცხოვრებაში დიაგნოსტირებული შემთხვევათაგან 1509 (საერთო რაოდენობის 48%) შემთხვევაა, (ინციდენტობა - 380), ეპიზოდური და პაროქსიზმულ დარღვევები - 599 შემთხვევა (ინციდენტობა - 151), რაც პირველადი პათოლოგიების 19%-ს შეადგენს, ექსტრაპირამიდული და მოძრაობის სხვა მოშლილობები -105 შემთხვევა (ინციდენტობა - 26), საერთო რაოდენობის 3%, ცხოვრებაში დიაგნოსტირებული ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი დაავადებები-191, საერთო რაოდენობის 6% , ინციდენტობა 48.

ნერვული სისტემის დაავადებების (პირველად რეგისტრირებული) პროცენტული გადანაწილება




რეგიონში ნერვული სისტემის დაავადებით სტაციონარებში მკურნალობდა 1108 ავადმყოფი მათ შორის 15 წლამდე ასაკის 68 ბავშვი და მ.შ.1 წლამდე – 1 (2012 წელს - 882 ავადმყოფი, მათ შორის 68 ბავშვი, 1 ბავშვი 0-1 წლამდე). მათ მიერ ჰოსპიტალში გატარებული საწოლდღეები შეადგენს 5243, გარდაიცვალა 22 ავადმყოფი (ლეტალობა - 1,9). ეპიზოდური და პაროქსიზმული დარღვევებით სტაციონარში იმკურნალა 981-მა პაციენტმა, გარდაიცვალა 10 (ლეტალობა - 0,9%), პერიფერიული ნერვული სისტემის ავადმყოფობებით მკურნალობდა 15 ავადმყოფი, (გატარებულია 35 საწოლდღე).

საჭმლის მომნელებელი სისტემა


2013 წელს საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 22 943 ავადმყოფი, დაავადებიალობა 100 000 მოსახლეზე - 5782 (2012 წელს რეგისტრირებული იყო - 21 633, 2011 წელს - 12840 ავადმყოფი). სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 12 725 ავადმყოფი, ინციდენტობა 3207 (2012 წელს შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა 10 831, ავადობა - 2729; 2011 წელს რეგისტრირებული იყო ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით - 4330 ავადმყოფი, ავადობა - 1121). რეგისტრირებული შემთხვევებიდან - 3138 ბავშვებშია აღრიცხული, პრევალენტობა 4240 (2012 წელს აღირიცხა 3215 შემთხვევა პრევალენტობა - 4434, 2011 წელს რეგისტრირებული იყო - 1605 ბავშვი, პრევალენტობა - 2300), აქედან 1855 სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით, ინციდენტი 2506 (2012 წელს იგივე მონაცემი - 1674 შემთხვევა ინციდენტობა - 2308; 2011 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 1094 ბავშვი, ინციდენტობა - 1568).

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა დინამიკა (2001-2013წწ)



საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებების ნოზოლოგიებში მაღალია პირის ღუს, სანერწყვე ჯირკვლებისა და ყბების ავადმყოფობები- შემთხვევათა 50%, გასტრიტი და დუოდენიტი 14,5%, ნაღვლის ბუშტის, სანაღვლე გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები 12%, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულების 8% ხვედრითი წილი.

საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებების პროცენტული გადანაწილება, აჭარა 2013 წელი



2013 წელს რეგიონის სტაციონარებში საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადების დიაგნოზით მკურნალობდა 3093 ავადმყოფი, მათ შორის 266 ბავშვი (8,6%), გარდაიცვალა 75.

სტაციონარი საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებების 15,6% ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების ავადმყოფობებზე მოდის (ჰოსპიტალიზირებულია 484 ავადმყოფი), თიაქარით ჰოსპიტალიზირებულია 706 ავადმყოფი, რაც შეადგენს 22,9%, .

	ჰოსპიტალური პაციენტების რაოდენობა				გარდაცვალება		
	სულ	მოზრდილები	15 წლამდე	1 წლამდე	მოზრდილები	15 წლამდე	1 წლამდე
საჭმლის მომწოდებელი სისტემის ავადმყოფობები	3093	2827	266	24	75	0	
მათ შორის: პირის ღრუს, სანერწყვე ჯირკვლებისა და ყბების ავადმყოფობები	61	38	23				
კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული	161	161			5		
გასტრიტი და დუოდენიტი	26	26					
ჭია ნაწლავის ავადმყოფობები	640	552	88				
თიაქარი	706	587	119	19			
პერიტონეუმის ავადმყოფობები	140	125	15		13		
ღვიძლის ავადმყოფობები	66	66			30		
ნაღვლის ბუშტის, ნაღვლის გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები	602	601	1		2		
მ.შ.ქოლელითიაზი, ქოლეცისტიტი	442	441	1				


ტრავმები და უბედური შემთხვევები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ევროპაში მოკვდავობის 10% ტრავმებით არის გამოწვეული. საქართველოში ისევე როგორც ევროპის მთელ ტერიტორიაზე

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას უბედური შემთხვევები და ტრავმები წარმოადგენს, რაც დიდ საზრუნავს უქმნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემას.

2013 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დარეგისტრირდა ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების 6990 შემთხვევა, პრევალენტობა -1761 (2012 წელს დარეგისტრირდა 4561 შემთხვევა, პრევალენტობა - 1158.3), მათ შორის 3421 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 862 (2012 წელს - 3061 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 777,3; 2011 წელს აღირიცხა 3922 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 1016). 0-15 წლამდე ასაკში რეგისტრირებული იყო 1204, პრევალენტობა 1524; (2012 წელს ბავშვებში რეგისტრირებული იყო 699 შემთხვევა, პრევალენტობა - 964.12; 2011 წელს 741 შემთხვევა, პრევალენტობა - 1062.2;), მათ შორის 626 ახალი შემთხვევა, ინციდენტი -792 (2012 წელს ინციდენტობამ შეადგინა - 699 (507 შემთხვევა); 2011 წელს ბავშვებში რეგისტრირებული იყო 574 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 822).


ტრავმების დინამიკა, აჭარა 2001-2013 წწ



სხვადასხვა ლოკალიზაციის ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შემთხვევათა შორის ყველაზე ხშირი იყო ჭრილობების, სისხლძარღვთა დაზიანების, ზედაპირული ტრავმების, დაჟეჟილობებისა და დაჩეჩვილობების შემთხვევები, რამაც ამ კლასის დაავადებების 55% შეადგინა. შემდეგ ადგილზე მოდის ზედა და ქვედა კიდურების ძვლების მოტეხილობა 15,6%, ამოვარდნილობები (მოტეხილობების

გარეშე), დაჭიმულობები, დამაბულობა 12% და სამკურნალო ნივთიერებებით, მედიკამენტებით და სხვა ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლეები 6,4%.

ტრავმების პროცენტული გადანაწილება, აჭარა, 2013 წელი



ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედებით სტაციონარში მკურნალობდა 3390 ავადმყოფი, მათ შორის 15 წლამდე ასაკის 1158 ბავშვი, გარდაიცვალა სულ 120 ავადმყოფი (ლეტალობის მაჩვენებელი 3,5).

ტრავმების განმაპირობებელი მიზეზები (სტაციონარში)

დასახელება	სულ		მათ შორის 15 წლამდე ასაკის		საერთო რაოდენობიდან გარდაიცვალა		მათ შორის 15 წლამდე ასაკის	
	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი	მდედრობითი
ავადობისა და სიკვდილობის გარეგანი მიზეზები	559	261	3	4	31	8	1	0
მ.შ.უბედური შემთხვევები სულ	505	242	2	4	24	7	1	0
მ.შ.სატრანსპორტო უბედური შემთხვევები სულ	219	92	2	4	18	6	1	0
მ.შ.ქვეითი,დაზარალებული სატრანსპორტო უბედური შემთხვევები სულ	28	27	1	1	0	0	0	0
ტრავმების სხვა გარეგანი მიზეზები უბედური შემთხვევების დოს	272	143	0	0	1	0	0	0
განზრახ თვითდაზიანება	8	4	0	0	0	0	0	0
სხვა დაზიანება	46	15	1	0	7	1	0	0

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილს მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა წარმოადგენს.

ფსიქიკური აშლილობები ავადობისა და ინვალიდობის გამომწვევ მიზეზთა შორის წამყვან ადგილს იჭერს. შრომისუნარობის გამომწვევი ათი ძირითადი დაავადებიდან სავარაუდოდ ხუთი ფსიქიკური აშლილობაა.

რეალურად ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რადგან ფსიქიატრიული სერვისების დაბალი დონე, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმიუწვდომლობა და სტიგმის გამო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არ მიმართავს ამ სერვისებს. მეცნიერთა აზრითა და სტატისტიკური მონაცემებით 2020 წლისათვის მსოფლიოში ინვალიდობის მაჩვენებელი გულის იშემიური დაავადების შემდეგ დეპრესია იქნება.


საქართველოში დღეისათვის ოფიციალურად აღრიცხულია დაახლოებით 100 000 ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანი, ხოლო ფსიქიატრიულ სტაციონარებში იმყოფება საშუალოდ 1200 პაციენტი.

ექსპერტთა შეფასებით საქართველოში სულ მცირე 240 000 ნარკოტიკების მომხმარებელია, რომელთაგანაც სავარაუდოდ 80 000 ნარკოტიკებს ინექციური გზით მოიხმარს, ხოლო ამ უკანასკნელთაგან 30 000 – 35 000 დაავადებულია წამალდამოკიდებულებით, რაც ასევე წარმოადგენს სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წელს რეგისტრირებულია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე 7788 პიროვნება, მათ შორის ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით - 118 (პრევალენტობა 1962, ინციდენტობა-29). ორგანული ბუნების აშლილობებით (მ.შ. ეპილეფსიით) რეგისტრირებულია 1452 ავადმყოფი, მათ შორის ცხოვრებაში პირველად 15 შემთხვევა.

2013 წლის განმავლობაში სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 391 ავადმყოფი, მ.შ. ფსიქიკური აშლილობებით (შიზოფრენიით, შიზოტოპური და ბოდვითი აშლილობებით)-327, აფექტური აშლილობით - 13 ავადმყოფი, გონებრივი ჩამორჩენილობით - 14 ავადმყოფი, სიმპტომატური აშლილობით -28. გარდაიცვალა - 2 ავადმყოფი. (ლეტალობის მაჩვენებელი - 0,5).

შემთხვევათა განაწილება სტაციონარში, 2013 წ, აჭარა სულ 391




აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით ავადობა

2013 წლის მონაცემთა (17 214) შედარებით გასული წლის იმავე პერიოდთან (28 670) აღინიშნება გადამდებ დაავადებათა რიცხვის კლება, რაც პირველ რიგში განპირობებულია ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა შეტყობინების, ანგარიშგებისა და ეპიდკვლევის გარკვეულ ნოზოლოგიათა და მდგომარეობათა ცვლილებებით - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მაისის №01-27/ნ ბრძანება „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“.

ბრძანების შესაბამისად შეტყობინება/ანგარიშგების სისტემიდან ამოღებულ იქნა მწვავე რესპირატორული ინფექციები, გრიპი და გრიპისმაგვარ დაავადებათა ჰოსპიტალური შემთხვევები, რაც აღნიშნულ პერიოდამდე განპირობებდა სისტემაში მოქცეულ დაავადებათა მაღალ რიცხვს. ეპიდზედამხედველობის სისტემაში კი მოექცა ტუბერკულოზი, სიფილისი, გონორეა და სხვა.

გადამდებ დაავადებათა ავადობის დინამიკა აჭარა, 2001 წ–2013წ



2013 წლის განმავლობაში ეპიდზედამხედველობის სისტემაში მოექცა და ცენტრის მიერ აღირიცხა ინფექციური დაავადების -17 214 შემთხვევა. მათ შორის ქ.ბათუმში -9146 შემთხვევა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - 3162 შემთხვევა, ქობულეთის მუნიციპალიტეტში -3749, ქედის მუნიციპალიტეტში - 533, შუახევის მუნიციპალიტეტში - 259, ხულოს მუნიციპალიტეტში-365.


შემთხვევათა და კვლევათა განაწილება ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, აჭარა, 2013 წ

ადმინისტრაციულ/თერიტორიული ერთეული	რეგისტრირებულ შემთხვევათა საერთო (რ/ბა)		მ.შ. სასწრაფო შეტყობინება იქნა მიღებული შემთხვევაზე (რ/ბა)		ეპიდკვლევას დაექვემდებარა (ცოფის რისკის მქონე ექსპოზიციის ჩათვლით)	
	რ/ბა	% საერთო რ/ბა-დან	რ/ბა	% მ.შ.	რ/ბა	% მ.შ.
ბათუმი	9146	53	1963	21	692	35
ქობულეთი	3749	22	985	26	396	40
ხელვაჩაური	3162	18	590	18	215	36
ქედა	533	3	84	15	9	11
შუახევი	259	2	80	30	21	26
ხულო	365	2	76	20	10	13

აჭარა	17214		3778	21	1343	36
-------	-------	--	------	----	------	----


გადამდებ დაავადებათა შემთხვევების ხვედრითი წილი 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შეადგენს საერთო რაოდენობის 51,%, რაც შეესაბამება 8 823 შემთხვევას.

გადამდებ დაავადებათა ავადობის დინამიკა აჭარა, 2000-2013 წწ




ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა აჭარისათვის შეადგენს 4371 აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია მაჩვენებელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმში. აჭარის საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა ქობულეთში, ხოლო დაბალია - ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში.

ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა, აჭარა, 2013 წელი




გადამდებ დაავადებათა სპექტრი ცალკეული ნოზოლოგიების მიხედვით, აჭარა, 2013 წელი



გადამდებ დაავადებათა სტრუქტურაში 2013 წელს წამყვანია სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, სპორადული შემთხვევების სახითაა წარმოდგენილი - მენინგოკოკემია, ბრუცელოზი, იმუნიზაციით მართვადი ინფექციები (წითურა, ყბაყურა) გარდა წითელასი, რომლის მიმართაც რეგიონში, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, აღინიშნებოდა შემთხვევათა მატება.

სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა - მიმდინარე წელს აღირიცხა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 8710 შემთხვევა, რაც 263 ერთეულით ნაკლებია გასული წლის მონაცემებთან შედარებით (2012წ- 8973 შემთხვევა).


სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, შემთხვევათა განაწილება თვეების მიხედვით, 2011–2013წწ



დიარეით მიმდინარე შემთხვევების 64.2% ფიქსირდება 0_14 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

მწვავე ვირუსული ჰეპატიტის პირველადი დიაგნოზით დაფიქსირდა 29 – B მწვავე, 16 – C მწვავე და A მწვავე ვირუსული ჰეპატიტის 7 შემთხვევა. გასული წელს დაფიქსირებულია B მწვავე – 40, 20 – C მწვავე, ხოლო A მწვავე ვირუსული ჰეპატიტის 2 შემთხვევა.


A ვირუსული + სხვა მწვავე ვირუსული ჰეპატიტი,
შემთხვევათა მრავალწლიანი დინამიკა



ამავე პერიოდში დაფიქსირებულია ქრონიკული B ჰეპატიტი –411, ქრონიკული C –492 შემთხვევა. 2012 წელს ფიქსირდებოდა ქრონიკული B ჰეპატიტი –307, ქრონიკული C –323.

ჩუტყვავილათი ავადობის დინამიკაში ეპიდემიური პროცესის 2-3 წლიანი ციკლურობაა, რაც სპეციფიურია ამ დაავადებისათვის. 2013 წელს დაფიქსირდა ჩუტყვავილას 1246 შემთხვევა, ხოლო გასულ წელს 499 შემთხვევა.

ჩუტყვავილას შემთხვევათა განაწილება აჭარა, 2000წ-2013წ .




იმუნიზაციით მართვადი ინფექციები

2013 წელს აჭარაში დაფიქსირდა წითელას შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება.

ცენტრში შემოსული 242 სასწრაფო შეტყობინებიდან 20 შემთხვევა იყო სხვა რეგიონის. 222 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, მ.შ. 26 იქნა უკუგდებული (6 კლინიკურად, 20 ლაბორატორიულად). შესაბამისად, ეპიდზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში მოექცა წითელას 196 შემთხვევა: მათ შორის ბათუმი – 136 , ქობულეთი– 31, ხელვაჩაური– 27, ქედა 1, ხულო 1.

**წითელას შემთხვევები მუნიციპალიტეტების მიხედვით,
აჭარა, 2013 წელი**




196 შემთხვევიდან ლაბორტორიულად ტესტირებულ იქნა 86 შემთხვევა, აქედან დადასტურდა 66, სავარაუდო 130 შემთხვევა.

რეგისტრირებული შემთხვევებიდან ჰოსპიტალიზირებული იყო 47 პაციენტი. დაავადებულთა შორის გართულება აღინიშნა 9,7 % (19 შემთხვევაში).


მიმდინარე წლის მონაცემების მიხედვით წითელას მიმართ ინციდენტობა აჭარისათვის შეადგენს 49,77. აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალი მაჩვენებელია ქალაქ ბათუმში (80,41), აღნიშნული მაჩვენებელი აჭარის საშუალო შედეგს უახლოვდება ხელვაჩაურსა (43,04) და ქობულეთში (35,38), დაბალია ქედასა (4,8) და ხულოში (3), შუახევის მუნიციპალიტეტებში არ დაფიქსირებულა წითელას შემთხვევა.

წითელას ინციდენტობა რაიონულ კრილში აჭარა 2013 წელი



ასაკობრივ სპექტრში დომინირებს 0-14 წელი. სულ ამ ასაკობრივ ჯგუფში რეგისტრირებულია 102, შემთხვევათა საერთო რაოდენობის 52%. შემთხვევები მეტია ასევე 20–29 ასაკობრივ ჯგუფში –55 შემთხვევა.

წითელას შემთხვევები ასაკობრივ ჯგუფში, აჭარა, 2013 წელი



რეგისტრირებული შემთხვევებიდან წყ1-ით აცრილია–38, წყ ორივე დოზა მიღებული ქონდა–17–ს, 29 – აუცრელი (მ.შ. 21–აზერბაიჯანის მოქალაქე, 1ლატვიის მოქალაქე, 7 აუცრელი წინააღმდეგჩვენების გამო), 89 –უცნობი (მოზრდილი ასაკის მოსახლეობა), 23 – ასაკობრივად აცრას არ ექვემდებარება.

ყბაყურა და წითურა რეგისტრირებულია სპორადული შემთხვევების სახით.

2013 წელს დაფიქსირებულია ყბაყურას 8 შემთხვევა, გასული წლის მონაცემებთან შედარებით (9) აღინიშნება კლება 1 ერთეულით. კლებადი დინამიკა შეინიშნება წითურას მიმართაც. გასულ წელს ფიქსირდებოდა 18 შემთხვევა, ხოლო მიმდინარე წელს კი მხოლოდ 7 შემთხვევა.

ყბაყურას 8 შემთხვევიდან 7 აცრილია ასაკის შესაბამისად, 1 ასაკობრივად არ ექვემდებარებოდა აცრას. წითურას 7 შემთხვევიდან (3 დადასტურებული და 4 სავარაუდო) 4 აცრილია წყ 1 დოზით. წყ 2 დოზით აცრილია1. 1 –ასაკობრივად არ ექვემდებარებოდა აცრას. 1 შემთხვევაში აცრის სტატუსი უცნობია.


მიმდინარე პერიოდში რეგისტრირებულია ყივანახველას 27 შემთხვევა, რომელთაგანაც აუცრელია 13 (მ.შ. 3–მშობლის უარის, 8– წინააღმდეგჩვენების გამო, 2 ასაკით არ ექვემდებარებოდა) ასაკობრივად აცრილია–11, არასრულყოფილადაა აცრილი–2, ერთ შემთხვევაში აცრის სტატუსი უცნობია. გასული წლის მონაცემებთან შედარებით აღინიშნება კლების დინამიკა 22 ერთეულით (49 შემთხვევა).

➤ ტუბერკულოზი

2013 წლის განმავლობაში ეპიდზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში მოექცა ტუბერკულოზის 416 შემთხვევა. მ.შ. 219 დარეგისტრირდა როგორც ფილტვის ტუბერკულოზის მგბ დადებითი ფორმა, 183 მგბ უარყოფითი და 14 ფილტვგარეშე ტუბერკულოზის შემთხვევა.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ეპიდკვლევა ჩატარდა მგბ დადებითი ტუბერკულოზის 219 კერაში, ეპიდკვლევას დაექვემდებარა 748 კონტაქტირებული პირი, რომელთაგანაც პირველადი ტუბერკულინოდიანგნოსტიკა ჩატარდა 256 პირს, ხოლო განმეორებითი –86–ს.

ფილტვისა და ფილტვგარეშე ტუბერკულოზის % განაწილება, აჭარა, 2013 წელი



➤ მალარია

აჭარის რეგიონში 2013 წელს დაფიქსირდა მალარიის ლაბორატორიულად დადასტურებული 1 შემთხვევა. შემთხვევა იყო შემოტანილი. დაავადების სპეციფიკისა და სეზონურობის შესაბამისად ეპიდემიოლოგიურად საშიშ ზონაში განხორციელდა ადექვატური ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, დეზინსექცია.

➤ ლეპტოსპიროზი

მიმდინარე წელს დარეგისტრირდა ლეპტოსპიროზის 23 შემთხვევა. (2012 წელს–18 შემთხვევა).

➤ მენინგოკოკემია

2013 წელს დაფიქსირდა მენინგოკოკემიის 4 შემთხვევა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით (7 შემთხვევა) 3 ერთეულით ნაკლებია, მ.შ. 1 ლეტალური გამოსავლით.

➤ ჯგუფური შემთხვევები


2013 წელს აჭარაში დარეგისტრირდა: სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 7 ჯგუფური შემთხვევა. აქედან 6 –ოჯახური სამ შემთხვევიანი კერა, 1 ჯგუფური შემთხვევა დაფიქსირდა სტუმარ ბავშვთა ჯგუფში.

წითელას 4 ჯგუფური შემთხვევა, ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში.

➤ ანტირაბიული მომსახურება

2013 წლის განმავლობაში ანტირაბიული დახმარებისათვის სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 3294 პაციენტმა, რაც 551 ერთეულით მეტია 2012 წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით (2743). პაციენტთა მომართვიანობის ზდა გამოიწვია ჰიდროფობიის 2 შემთხვევის კონტაქტირებულ პირთა ვაქცინაციამ.

ანტირაბიული დახმარებისათვის პაციენტთა მომართვიანობა აჭარა 2000-2013წ



ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 825 (28,7%) პაციენტს, არასრული 2045 (71,2%), ვაქცინაცია დაასრულა დაზარალებულთა 87,1% (2870), მკურნალობა შეწყვიტა 113 (3,4%). კომბინირებული (იმუნოგლობულინი+ვაქცინა) მკურნალობა დასჭირდა 817 პაციენტს, მომართულთა 24,8%-ს.

ანტირაბიული კომპონენტის ფაგლებში გაწული მომსახურება, 2012–2013წ აჭარა

პერიოდი	მომართულთა რაოდენობა	ვაქცინაცია დაასრულა	ცენტრში შემოსული შეტყობინება	ვიზიტი კერაში	ინფორმაცია ვეტსამს	კომუნიკაცია ჯეოსამს

			სულ	მ.შ.შეწყვეტი ლი	ცოფის კერა			
2012 წ	2743	2575	639	613	26	223	1425	408
2013 წ	3294	2870	783	757	26	153	1584	397

2013 წელს დაფიქსირდა ჰიროფობიით გარდაცვალების 2 შემთხვევა, რომელთაც არ მიუმართავთ ანტირაბიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის პოსტექსპოზიციური პროფილაქტიკური მკურნალობის კურსის ჩასატარებლად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი (ნაერთი) - **7.654.300** ლარს შეადგენს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის ბიუჯეტი - **1.586.270** ლარს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები -**4.794.735** ლარი, სოციალური დაცვის პროგრამები - **256.036** ლარი.

სულ პროგრამები: - 5 050 771



ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მიზნებია:

ბავშვთა ავადობის შემცირება სტაციონარული მომსახურების გზით;

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ავადობის და შეზღუდული შესაძლებლობების შემცირება.

კარდიოქირურგიულ (გულის ქირურგია) მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

განსაკუთრებულ შემთხვევებში პაციენტებისათვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.


ონკოლოგიური პაციენტებისათვის სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სოციალურად დაუცველი და მოსახლეობის სხვა ჯგუფებისათვის გეგმიურ ჰოსპიტალურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სამედიცინო მომსახურების მიწოდება (2013 წლის განმავლობაში)

2013 წლის განმავლობაში გაცემულია ვაუჩერი - 4289 პაციენტზე, მკურნალობა დასრულებული და ანაზღაურებულია 4051 პაციენტზე (94%).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში გაიცა - 3552 ვაუჩერი (83%) - საქართველოს სხვა რეგიონებში გაცემულია - 737 ვაუჩერი (17%).



მოსახლეობის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი (1 688 355ლარი)

კომპონენტის მიზანია სტიქიისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებების და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ზემოთ მოსახლეობის აუცილებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

გაცემულია 2071 ვაუჩერი. დასრულებული და ანაზღაურებულია 1934 პაციენტის მკურნალობის ხარჯები. (გაუქმდა 137 ვაუჩერი).

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	691	642	660 853
ქობულეთი	451	420	292 818
ხელვაჩაური	490	457	391 417
ქედა	148	136	74 972
შუახევი	124	115	56 840
ხულო	167	164	103 549
სულ	2071	1934	1 580 450

რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი (950 000 ლარი)

კომპონენტის მიზანია 18-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობისა და 60-დან 65 წლის ასაკამდე მამაკაცების კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება.

კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით, გულის იშემიური დაავადებებით, სიმსივნეებით დაავადებული მოქალაქეებისათვის კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

სულ გაცემულია 320 ვაუჩერი. დასრულებული და ანაზღაურებულია 307 პაციენტის მკურნალობის ხარჯები. გაუქმდა 13 ვაუჩერი.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	141	132	365 389
ქობულეთი	84	83	238 443
ხელვაჩაური	71	70	225 027
ქედა	11	10	51 846
შუახევი	6	6	9 180
ხულო	7	6	34 678
სულ	320	307	924 563

დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი (96 652 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 485 000 ლარს, კომპონენტი შეჩერდა 2013 წლის 28 თებერვლს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ.

კომპონენტი ითვალისწინებდა აჭარაში რეგისტრირებული 6 -18 წლის ასაკის ბავშვების 18-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის ურგენტული სამედიცინო დახმარების მიწოდებას, ასევე ანტირაბიული მომსახურებით სარგებლობდა 18-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა და 60 დან-65 წლამდე ასაკის მამაკაცები.

გაცემულია 162 ვაუჩერი. დასრულებულია და ანაზღაურებულია 157 პაციენტის მკურნალობის ხარჯები. (გაუქმდა 5 ვაუჩერი).

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	45	44	29 428
ქობულეთი	50	48	22 279
ხელვაჩაური	44	43	27 959
ქედა	9	9	7 340
შუახევი	3	3	2 738
ხულო	11	10	6 966
სულ	162	157	96 709

გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი (864 024 ლარი)

კომპონენტის მიზანია მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამების ზემოთ დამატებითი გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების ორგანიზება. კომპონენტის ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ: 60–დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცები და 18 დან 60 წლამდე ასაკის ბენეფიციარები.

გაცემულია 1151 ვაუჩერი დასრულებულია და ანაზღაურებულია 1095 პაციენტის მკურნალობის ხარჯები. გაუქმდა 56 ვაუჩერი.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	280	259	215 917
ქობულეთი	342	326	245 036
ხელვაჩაური	291	283	227 860
ქედა	82	77	57 860
შუახევი	60	57	40 614
ხულო	96	93	60 390
სულ	1151	1095	847 762

ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტი (217 898ლარი)

პროგრამა მიზნად ისახავდა ონკოლოგიური, ნეიროონკოლოგიური და ონკოჰემატოლოგიური პაციენტების 18–დან 60 წლამდე ასაკის მოქალაქეებისა და 60 დან 65

წლამდე ასაკის ონკოლოგიური მამაკაცი პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას სამედიცინო მომსახურეობაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

გაცემულია 585 ვაუჩერი. დასრულებული და ანაზრაურებულია 558 პაციენტის მკურნალობის ხარჯები. გაუქმდა 27 ვაუჩერი.

ქიმიოთერაპია – 359

სხივური თერაპია – 32

ქირურგიული მკურნალობა – 63

დიაგნოსტიკა –გამოკვლევები – 10

კომპიუტერული ტომოგრაფია – 68

ჰორმონოთერაპია – 53

სულ – 585

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	317	299	105 481
ქობულეთი	100	95	43 206
ხელვაჩაური	135	132	57 537
ქედა	15	15	4 855
შუახევი	12	11	4 350
ხულო	6	6	2 470
სულ	585	558	217 898

2013 წლის 12 თვის მდგომარეობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებისა და სამედიცინო მომსახურეობისათვის გამოიყო 213 085 ლარი:

ა) რეგიონში მცხოვრები რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული და 2012 წლის 21 თებერვალს ავღანეთში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეთა დედებს (16) და მეუღლეებს (6) დედის დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების სახით გადაეცა 500-500 ლარი (სულ 11 000 ლარი);

ბ) 18 პაციენტის მკურნალობისათვის გახარჯულია 138 607 ლარი.

გ) ერთ ოჯახს ერთჯერადი მატერიალური დახმარება – 5000 ლარი.

დ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახის 90 წევრს ერთჯერადი მატერიალური დახმარება 100–100 ლარის ოდენობით. სულ 9000 ლარი.

ე) სამი მოქალაქის გადმოსვენება თურქეთიდან 14 478 ლარი.

ვ) 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ოჯახებს მატერიალური დახმარება 100–100 ლარის ოდენობით, სულ 32 000 ლარი.

ზ) ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვების, მათი მშობლების და ფონდის თანამშრომლებისათვის დროებით საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის 3000 ლარი.

2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპი, ხოლო 2013 წლის 1 ივლისიდან კი მეორე ეტაპი, რამაც გამოიწვია დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის, გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტის, ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტების მოქმედების შეჩერება.

სოციალური დაცვის პროგრამები

- ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კომპონენტი (245 00 ლარი)
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებით სავარძელ-ეტილით უზრუნველყოფის კომპონენტი (17 490 ლარი)
- სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი (95 000 ლარი)
- 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი (29 000 ლარი)
- მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი (38 046 ლარი)
- სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი (732 806 ლარი)
- მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის წახალისების კომპონენტი (76 500 ლარი)

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კომპონენტი (245 00 ლარი)

პროგრამა მიზნად ისახავდა ბავშვთა ცერებრული დამბლის, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ფსიქოსომატური რეაბილიტაციის მიწოდებით (ფიზიკური თერაპია, მეტყველების თერაპია, ექიმის მეთვალყურეობა, ბავშვის და მშობლის ფსიქოლოგიური დახმარება).

- კომპონენტის ფარგლებში გაიცა 711 ვაუჩერი, რეაბილიტაციის 700 კურსი ჩაუტარდა 244 ბავშვს

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	123	369	129 063
ქობულეთი	36	94	32 900
ხელვაჩაური	59	169	59 150
ქედა	8	21	7 350

შუახვევი	9	23	8 050
ხულო	9	23	8 050
სულ	244	699	244 563

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებით სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფის კომპონენტი (17 490 ლარი)

კომპონენტის მიზანია გადაადგილების პრობლემის მქონე პირთა გადაადგილების საშუალებით სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.

100 ბენეფიციარი დაკმაყოფილდა სავარძელ-ეტლით.

- ბათუმი 32
- ქობულეთი 29
- ხელვაჩაური 25
- ქედა 5
- შუახვევი 4
- ხულო 5

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი (95 000 ლარი)

კომპონენტის მიზანია სმენადაქვეითებულ პირთა უზრუნველყოფა სმენის აპარატებით, მათი ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა,

197 ბენეფიციარი დაკმაყოფილდა სმენის აპარატით (3 ბავშვზე გაიცა ორ-ორი აპარატი).

- ბათუმი 86
- ქობულეთი 25
- ხელვაჩაური 33
- ქედა 14
- შუახვევი 15
- ხულო 24

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი (29 000 ლარი)

კომპონენტი ითვალისწინებს 100 წლის და მეტის ასაკის მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას 500 ლარის ოდენობით, მათი ყოფითი და სოციალური პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესებას

დახმარება გადაეცა 58 მოქალაქეს, რისთვისაც გაიხარჯა 29 000 ლარი.

- ბათუმი 9
- ქობულეთი 13

- ხელვაჩაური 4
- ქედა 9
- შუახევი 9
- ხულო 14

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი (38 046 ლარი)

კომპონენტის მიზანია მიუსაფარ დედათა და ბავშვთა უზრუნველყოფა დროებითი 24 საათიანი თავშესაფრით და უსაფრთხო გარემოთი, ბენეფიციართა ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, მათი სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობა.

თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობს 11 ბენეფიციარი (5 დედა და 6 ბავშვი), რაზედაც გაიხარჯა 38 046 ლარი.

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი

(732 806 ლარი)

კომპონენტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა თემის სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირებით, სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა სადიაგნოსტიკო ტესტ-ჩხირებით და გადაუდებელი დახმარების მედიკამენტებით; ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანაში მოსახლეობისათვის პირველადი საექიმო მომსახურების მიწოდება.

კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა პაციენტის 165 016 ვიზიტი; თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული 227 მედლის შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 732 149 ლარი; თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდა 50 697 ლარის ღირებულების გადაუდებელი დახმარების მედიკამენტები და 4 887 ლარის ღირებულების სადიაგნოსტიკო საშუალებები.

თემის სამედიცინო პუნქტების და მედლების რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	პუნქტები	მედლები
ქობულეთი	29	46
ხელვაჩაური	31	47
ქედა	39	39
შუახევი	38	45
ხულო	46	50
სულ	183	227

მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის წახალისების კომპონენტი (76 500 ლარი)

კომპონენტის მიზანია მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სამედიცინო ცენტრებში დასაქმებული ექიმ-სპეციალისტების, მედდების და სოფელ თხილვანას სოფლის ექიმის დამატებითი შრომის ანაზღაურება

- კომპონენტის ფარგლებში დამატებითი შრომის ანაზღაურება გაიცა 39 ექიმსა და ექთანზე, რაზედაც გაიხარჯა 76 500 ლარი.

მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის წახალისების კომპონენტში მონაწილე ბენეფიციარების რაოდენობა

მუნიციპალიტეტი	ექიმი	ექთანი
ქედა	7	4
შუახევი	9	4
ხულო	10	5
სულ	26	13

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ეკომიგრანტების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით 161 ოჯახზე გაიცა რეკომენდაცია ბინებით დაკმაყოფილებაზე, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულ 2 ოჯახზე გაიცა რეკომენდაცია ადგილმონაცვლეობით დაკავებული შენობების დაკანონების თაობაზე.
- თამარის დასახლებაში აგებულ 2 სოციალურ სახლში ალტერნატიული ფართის არ მქონე I-კატეგორიას მიკუთვნებულ 73 ოჯახზე, რომელთაც დამეწყრილი აქვთ საკარმიდამო ტერიტორიები (ბათუმი 2, ხელვაჩაური 27, ქობულეთი 43 ოჯახს გადაეცემა თითო ბინა, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტიდან ემიგრირებული 16 წევრიან ოჯახს გადაეცემა 2 ბინა).
- 2013 წელს დასრულდა შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში არსებული ყოფილი საავადმყოფოების შენობების სრული რეაბილიტაცია, სადაც ბინა გადაეცა ამავე მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ I კატეგორიის 88 ეკომიგრანტ ოჯახს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან 2013 წლის იანვარ - დეკემბრის ჩათვლით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად

მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით სტიქიის შედეგად (მეწყერი, ხანძარი, ქარბორბალა) დაზარალებული 86 ოჯახის მატერიალური დახმარებისა და დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყო 568 122 ლარი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

- ე.წ. „დევნილთა დასახლებაში“ (თამარის დასახლება) დასრულდა თავისუფალი კომერციული ფართების საცხოვრებელ ბინებად გადაკეთება, სადაც ბინა მიიღო 6-მა აჭარაში და 42-მა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა არაკომპენსირებულმა დევნილმა ოჯახმა. მახინჯაურში მდებარე ყოფილი „კურორტ სამმართველოს“ 2 სართულიანი შენობის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ბინა დამატებით 12 დევნილ ოჯახს გადაეცემა.
- 2013 წელს პროექტ „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“, ბათუმის მერიისა და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში აშენდა 2 საცხოვრებელი სახლი, სადაც ბინები გადაეცა 5 დევნილ და 7 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

2013 წელს ყურადღება დაეთმო სამედიცინო დაწესებულებების განვითარებას:

- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ახალი სამედიცინო აპარატურით აღიჭურვა ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა რეგიონული ცენტრის ბავშვთა განყოფილება.
- ქ. ბათუმის იოსებ ჩარკვიანის სახელობის სამშობიარო სახლი საკუთრებაში გადაეცა დაწესებულების თანამშრომლებს.
- სამედიცინო კოლექტივის მართვაში გადავიდა ქობულეთის რაიონული საავადმყოფო.

❖ მნიშვნელოვნად დაიხვეწა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხები

- სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ქ. ბათუმის მერიასთან, მუნიციპალიტეტების გამგებლებთან ჯანდაცვისა და სოციალური მიზნობრივი პროგრამების პროექტების შემუშავებისა და მათი განხორციელების საკითხებში.
- სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების გაცნობის მიზნით შეხვედრები გაიმართა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან, თემის რწმუნებულებთან, სამედიცინო პერსონალთან, სოფლის ექიმებთან და თემის სამედიცინო პუნქტების

წარმომადგენლებთან. პროგრამები, ასევე წარედგინა არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

- მიზნობრივი პროგრამების შესახებ მომზადდა 3 ვიდეო რგოლი, რომელიც გადაიცემოდა აჭარის ტელევიზიით. დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები და პოსტერები, რომლებიც დაურიგდა მოსახლეობას, სამედიცინო დაწესებულებებს და გამოიკრა თვალსაჩინო ადგილებზე. დაიბეჭდა საგაზეთო სტატიები, ინფორმაცია გავრცელდა სააგენტოების, ტელევიზიების (საინფორმაციო გამოშვებები, თოქ-შოუები), ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. პერიოდულად შევხვედრები იმართებოდა მოსახლეობასთან.
- გაიმართა 8 შეხვედრა საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან სამინისტროს 2014-2017 წწ პრიორიტეტების, ასევე სამინისტროს 2014 წლის მიზნობრივი პროგრამების პროექტების შესახებ. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ USAID-ის და სხვა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.
- 2013 წელს სამინისტრო „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ დაჯილდოვდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

❖ დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები

- USAID-ის ხელშეწყობით შეიქმნა აჭარის მთავრობის საერთო ელექტრო-კომუნიკაციური სისტემა.
- პოლონეთის მთავრობის, კერძოდ სილეზიის სავოევოდოს აქტიური მხარდაჭერით მიმდინარე წელს პოლონეთის წამყვან კარდიოლოგიურ კლინიკებში წარმატებით განხორციელდა 4 კარდიოლოგისა და 2 მედლის გადამზადება, მომავალ წელს დაგეგმილია ონკოლოგების კვალიფიკაციის ამაღლება.
- დაიგეგმა პოლონეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ცენტრისა და სამედიცინო ასოციაცია “თანა”-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა გაცვლითი პროგრამის განხორციელება.
- თვითმმართველობისა და დასაქმების საკითხებზე პოლონეთში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროსა და დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლები.
- USAID, GOARA-ს დახმარებით განხორციელდა სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერება – პროგრამული ბიუჯეტირების, პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის დანერგვის ხელშეწყობის და პროგრამული ბიუჯეტის სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით.
- სამინისტროსა და ბეჩეშეჰირის უნივერსიტეტს (თურქეთი) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სამედიცინო სპეციალობის (აჭარის მკვიდრი) 7 კურსდამთავრებული რეზიდენტურის, ხოლო 1 კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსს 2014 წლის იანვრიდან ბეჩეშეჰირის უნივერსიტეტში გაივლის.

წლების განმავლობაში სამინისტრო ნაყოფიერად თანამშრომლობს თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოსთან (TIKA). 2012 წლის ნოემბრიდან სამინისტრო გადავიდა TIKA-სთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე:

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე მიმდინარეობს ან დაგეგმვის სტადიაში:

1. დასრულდა სოფ. ცხემლარას თემის სამედიცინო პუნქტის მშენებლობა - აღჭურვა.
2. დასრულდა სამედიცინო ასოციაცია "თანა"-ს შენობის სრული რეაბილიტაცია –აღჭურვა.
3. დაგეგმილია შპს "ქ.ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის" სრული რეაბილიტაცია;
4. დაგეგმილია შპს "ქ.ბათუმის N1 პოლიკლინიკის" შენობის რემონტი;
5. დაგეგმილია შპს "მახინჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკის" შენობის რემონტი;
5. დაგეგმილია სხალთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის შენობის ნაწილის რემონტი;
6. შპს "თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის" პორტატული რენტგენის აპარატის შეძენა;
7. შპს "ნარკოლოგიური ცენტრის" შენობის რემონტი;
8. 2014 წელს პოლონეთის მთავრობის ხელშეწყობით მოხდება შრომის ბაზრის კვლევა.

უფასო სამედიცინო გამოკვლევები

სამინისტროს ინიციატივით და კერძო სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერით 2013 წლის განვლილი პერიოდში ჩატარდა მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევები. აქციაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა სამედიცინო დაწესებულებებმა:

- „ბათუმის რფერალური საავადმყოფო“ (გამოკვლევები ჩატარდა ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში).
- ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა“ (გამოკვლევები ჩატარდა ხულოს და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში).
- „მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი 2010“ (ქობულეთის და შუახევის–ჭვანის ხეობა მუნიციპალიტეტებში).
- ინიციატივის ფარგლებში მომსახურება გაეწია 2 000-ზე მეტ პაციენტს.

2014 წელი, დაგეგმილი ღონისძიებები

❖ პრიორიტეტები

- ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სოციალური უზრუნველყოფა და მოსახლეობის ინფორმირება ხელმისაწვდომი სოციალური მომსახურების შესახებ;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და პრევენციული ღონისძიებები;
- დასაქმების ხელშეწყობა.

❖ სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტი

- ნაერთი ბიუჯეტი შეადგენს (სამინისტრო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, დასაქმების სააგენტო)- **9,028,900**ლარს.
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ბიუჯეტი-**4,941,100**ლარი;
- სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი-**1,019,100**ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის – **1 009 700**ლარი;
- დასაქმების სააგენტო – **421 000** ლარი.

❖ **ჯანმრთელობის დაცვის მიზნობრივი პროგრამები**

- გულის ქირურგია –(**1,218,000**);
- მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება-(**1,290,000**);
- სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია-(**457,300**);
- სახსრების ენდოპროთეზირება-(**250,000**);
- ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის კომპონენტი-(**350,000**);
- ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია-(**350,000**);
- სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი-(**742,400**);
- სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა-(**253,400**);
- თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადების კომპონენტი-(**30,000**).

❖ **სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები**

- 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი-(**69,000**);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადასაადგილებელი საშუალების, სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფის კომპონენტი-(**45,00**);
- სმენა დაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი(**135,000**);
- მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი-(**124,100**);
- ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება-(**250,000**);
- შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია-(**50,000**);
- სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება-(**270,000**);
- 2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში სამხედრო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება-(**76,000**).

❖ **სამინისტროს ძირითადი გამოწვევები 2014 წლისათვის**

სამინისტროს 2014 წლის პროგრამები, შინაარსითა და მოცულობით ორიენტირებული იქნება სოციალურად დაუცველ ფენებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე.

- დაიგეგმა სქოლიოზით დაავადებული ბავშვების რეაბილიტაცია, პროგრამით 2 500-ზე მეტი 18 წლამდე ბენეფიციარი ისარგებლებს, მომსახურების ხარჯი 100%-ით აუნაზღაურდება.
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ახალშობილი ტყუპების ოჯახებს.

- გაიზრდება 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერად მატერიალური დახმარების ოდენობა.
- 2014 წელს სამინისტრო პირველად პროგრამულად დააფინანსებს მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებს. პროგრამით სარგებლობა შეეძლებათ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 200 000 ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს.
- განხორციელდება სოფლის პ.ჯ.დ. ექიმების, მედდების და თ.ს.პ. მედდების მიზნობრივი პროფესიული გადამზადება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება პირველადი ჯანდაცვის ქსელში:

- პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები გადმოვა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მართვაში. მათთვის სამინისტრო გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით 21 ავტომანქანას შეიძენს, რომელიც პირველ რიგში მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს გადაეცემა. ავტომანქანების შენახვის, საწვავის, ხარჯებს, ასევე მედიკამენტებისა და კომუნალურ გადასახადებს მუნიციპალიტეტები დაფარავს.
- მაღალმთიანი სოფლების პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ექიმებს ხელფასები 300 ლარით, ხოლო ბარში დასაქმებულებს 150 ლარით გაეზრდებათ. მათ ხელფასს 30%-ით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროც გაუზრდის. საერთო ჯამში პჯდ-ს ექიმის ხელფასი 2014 წელს დაახლოებით 800- 900 ლარი იქნება.

გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობის საკითხზე.

- ❖ **გაგრძელდება ეკომიგრანტი და დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება**
აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში ეკომიგრანტებისთვის დაიწყება ერთი 72 ბინიანი კორპუსის მშენებლობა, რომელიც 2015 წელს დასრულდება.
- 2014 წელს დასრულდება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ პანტნარში მცხოვრები 16 ეკომიგრანტი ოჯახის განსახლება ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. პროექტი განხორციელდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ურთიერთშეთანხმების სფუძველზე.
- თამარის დასახლებაში ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოყოფილ იქნა მიწის ნაკვეთი, სადაც დაგეგმილია დევნილებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

❖ **ახალი ინიციატივები**

- ექიმთა საზოგადოების აღორძინება,
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სახელმწიფო შპს მართვაში,

- ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ჰოსპიტალურ დაწესებულებებთან სამედიცინო დახმარების ხარისხის მართვის საკითხებში.

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს - გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, ვაქცინოპროფილაქტიკის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ანტირაბიულ ღონისძიებათა ზედამხედველობასა და ხელშეწყობას, მალარიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, სარისკო ქცევებისა და დაავადებათა პრევენციის საკითხებზე მოსახლეობაში საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიების ორგანიზებას, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობასა და დამხმარე ზედამხედველობას ვაქცინოპროფილაქტიკისა და გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობის საკითხებზე, სამედიცინო პერსონალის ინსტრუქტაჟსა და სწავლებას ინფექციური კონტროლის საკითხებზე.

ცენტრის წაერთი ბიუჯეტი (ფულადი ფორმით), ძირითადი მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად შეადგენს 660 400 ლარს, მათ შორის 259 900 ლარი პროგრამული ბიუჯეტი, პროგრამა „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წაერთი ბიუჯეტი 2013 წლისათვის

ღონისძიება	გეგმა	შესრულება
ცენტრის წაერთი ბიუჯეტი	660 400	647 461
აპარატის ხარჯები	381 360	377 359
მიზნობრივი პროგრამა – დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა	259 900	251 614
ქვეპროგრამა– ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა	71 480	67 132
ქვეპროგრამა– მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა)		184 482

	188 420	
<i>ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა</i>	<i>19 140</i>	<i>18 488</i>

გარდა ამისა, ცენტრს შესასრულებლად ნატურალური ფორმით მიღებული აქვს 486 157 ლარის მედიკამენტები, ასაცრელი და სხვადასხვა სამედიცინო საშუალებები და ძირითადი აქტივები.

- ქვეპროგრამა— ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა

აჭარის ტერიტორიაზე განხორციელდა ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა 560 კერის (ცოფის ექსპოზიციის გარდა) კვლევა შესაბამისი 1040 ვიზიტით: მათ შორის ბათუმში–607, ქობულეთში –189, ხელვაჩაურში–214, ქედაში–8, შუახევში–12, ხულოში –10.

➤ ანტირაბიული ღონისძიებები

ცოფისა და ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარებულ კერაში განხორციელდა 550 ვიზიტი; აქედან ცოფის კერაში –153, ხოლო ვეტსამსახურში კი 397 საკომუნიკაციო ვიზიტი; აღნიშნული ვიზიტები მუნიციპალურ ჭრილში შემდეგნაირად ნაწილდება: ბათუმი–156, ქობულეთი –245, ხელვაჩაური–15, ქედა–60, შუახევი–50, ხულო–24. კერაში ვიზიტისას გამოვლიდნენ ის პირებიც, რომლებიც საჭიროებდნენ სასწრაფო პოსტექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობას. ანტირაბიული დახმარებისათვის მომართული ყველა პაციენტისათვის მომზადდა და გადაეცათ ანტირაბიული აცრების სამახსოვრო ბარათი.

გადამდებ დაავადებათა კერებში,(მ.შ. ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარალების) ვიზიტები ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

აჭარა, 2013 წელი

ადმინისტრაციულ/ტერიტორიული ერთეული	ვიზიტი ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარალებულ კერაში, ვაქცინაციის შეწყვეტილ კერაში	ვიზიტი ვეტსამსახურში	გადამდებ დაავადებათა კერაში ვიზიტი	ჯამი
ბათუმი	82	74	607	763
ქობულეთი	48	197	189	434
ხელვაჩაური	15	0	214	229
ქედა	2	57	8	67

შუახვევი	6	45	12	63
ხულო	0	24	10	34
აჭარა	153	397	1040	1590

2013 წლის განმავლობაში დაიხარჯა 10597 კომპლექტი ანტირაბიული ვაქცინა და 1990 კომპლექტი ანტირაბიული იმუნოგლობულინი.

ცენტრის სპეციალისტების მიერ ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი დაზარალებულთა აღრიცხვის სრულყოფილებასა და სასწრაფო შეტყობინების დროულობაზე, პაციენტთა ვაქცინაციის სტატუსსა და ანტირაბიული მედიკამენტების მიღება-ხარჯვის სისწორეზე, ასევე მედიკამენტების შენახვის - "ცივი ჯაჭვის" პირობებზე.

➤ მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებები

„ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის მალარიის კომპონენტის ფარგლებში შესწავლილი იქნა წყალსატევების ანოფელოგენურობა, დადგინდა ფიზიკური და ანოფელოგენური ფართობები, მოხდა მათი პასპორტიზაცია, განისაზღვრა პირეტროიდების საჭირო რაოდენობა, რუტინულად ტარდებოდა ფენოლოგიური დაკვირვებები დაავადების ვექტორზე (კოლო ანოფელესზე ზრდის ფაზების შესაბამისად).

თებერვალ-მარტის თვეში განხორციელდა მალარიოგენული ტერიტორიების პასპორტიზაცია.

აჭარის ტერიტორიაზე აღირიცხა 602,15ჰა, მ.შ. 484,05ჰა ანოფელოგენური.

ეპიდსეზონის განმავლობაში გამოკვლეული იქნა სულ 3839.06 ჰა წყალსატევი, მ.შ ანოფელოგენური - 2690.6ჰა.

არღიცხული/გამოკვლეული ტერიტორიის ფართობი, აჭარა, 2013წ

პასპორტიზაციის შედეგები			სულ გამოკვლეული ფართობი ჰა	მ.შ.ანოფელოგენური ჰა
	სულ არღიცხული ფართობი ჰა	მ.შ.ანოფელოგენური ჰა		
ბათუმი	126,15	113,45	1177,3	732,5
ქობულეთი	418	317,7	1179,1	904,6
ხელვაჩაური	58	52,9	1482,16	1053,5
გამოკვლევა– 264935 კვ.მ. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის, დეზინსექტანტით დამუშავდა 67750კვ.მ დაგამზუზირება– 301 ჰა ფართის წყალსატევის				

ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა

➤ **თემატურ/საგანმანათლებლო ღონისძიებები მოსწავლე ახალგაზდობისათვის (კონკურსი/კონფერენცია/ფესტივალი)**

ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონფერენცია აჭარის ა.რ. განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს, თვითმმართველი ერთეულების რესურსცენტრებისა და რეგიონის სკოლების მოსწავლეთა თანამონაწილეობით (30 მაისი).

ნარკოლოგიის სამედიცინო ცენტრის, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა-დისკუსია - "მსოფლიო თამბაქოს გარეშე" ბათუმის VIII- X კლასის მოსწავლეებთან, რომელთაც გადაეცათ საჩუქრები (31 მაისი);

26 ივნისს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აჭარის მთავრობის, დაქვემდებარებული უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამონაწილეობით ჩატარდა მარათონი და სხვადასხვა ღონისძიებები. მონაწილეებს გადაეცათ ცენტრის მიერ მომზადებული სუვენირები.

13 დეკემბერს გაიმართა კონფერენცია – „რაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ“, თვითმმართველი ერთეულების რესურსცენტრებისა და რეგიონის სკოლების მოსწავლეთა თანამონაწილეობით. მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრები.

➤ **საგანმანათლებლო თემატიკით სუვენირების, მაისურების, კეპების, გულსაბნევების, სტიკერების და სხვა მომზადება**

საგანმანათლებლო თემატიკით მომზადებულ იქნა ფლაერები, პოსტერები, სუვენირები, მაისურები, კეპები, გულსაბნევები, სტიკერები, რომლებიც გადაეცათ ცენტრის მიერ ორგანიზებულ თემატური კონფერენციის მონაწილეებს.

რეგიონის სკოლებში ჩატარდა „ჯანმრთელობის გაკვეთილები“ თემაზე – სქოლიოზი და თვალის დაავადებები.

-განხორციელდა 165 ვიზიტი, 252 შეხვედრა, 7 013 მსმენელი
მ.შ.ბათუმში –64 შეხვედრა - 1932 მსმენელი
ქობულეთში –30 შეხვედრა - 1093 მსმენელი
ქედა - 28 შეხვედრა, 1316 მსმენელი
შუახევი - 37 შეხვედრა - 594 მსმენელი.
ხელვაჩაური -66 შეხვედრა - 1322 მსმენელი
ხულო - 27 შეხვედრა - 756 მსმენელი

მომზადდა სატელევიზიო კლიპი:

„ავადობის აქტიური გამოვლენა“
„ჰიპერტენზია“
„იმუნიზაცია“
„თამბაქოს მავნებლობა“.

„ცოფის პრევენცია“.

„კონფერენციები სკოლის მოსწავლეებისათვის”

„მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა) _ პროგრამის 2013 წლის შედეგები

პროგრამული ღონისძიებები მოიცავდა:

- ექიმ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აჭარის სკოლების 1-8 კლასის მოსწავლეთა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა პირველად სკრინინგულ კვლევებს;
- საჭიროების შემთხვევაში წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით უფასო ინსტრუმენტულ-ლაბორატორიულ გამოკვლევებს, სკრინინგის შემდგომ კონსულტაციას.
- პროგრამის შედეგების საფუძველზე მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნას;
- პროგრამის შედეგების მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს / ინტერპრეტაციას.

ქვეპროგრამა განახორციელა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია _ შპს „ქ.ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-მ.

- საანგარიშო პერიოდში აჭარის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და კერძო სკოლებში, ბაღებში განხორციელდა 390 ვიზიტი(მათ შორის 28 მუნიციპალიტეტების ბაღებში), სულ კონსულტირებულ იქნა 36 138 ბავშვი (მ.შ. 2 744 ბაღის) და ჩატარდა 144 552 კონსულტაცია;

შესრულებული ვიზიტები და კონსულტირებულ ბენეფიციართა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, აჭარა, 2103წ

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	განხორციელებული ვიზიტები		გამოკვლულ ბენეფიციართა რაოდენობა
	სკოლა	ბაღი	
ბათუმი	177		16 588
ქობულეთი	77	12	8 131
ხელვაჩაური	43	7	4 690
ქედა	19	3	2 076
შუახევი	16	2	1 718
ხულო	30	4	2 935

აჭარა	362	28	36138 მ.შ. 33 394 მოსწავლე 2 744 ბადის აღსაზრდელი
-------	-----	----	---


წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 1090 ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევა. მათ შორის:

- ექოსკოპია – 384,
- რენტგენოსკოპია –164,
- ჯირკვლის ჰორმონ. გამოკვლევა - 149,
- ავტორეფრაქტომეტრია-369 .
- სპირომეტრია - 5
- სხვა–19 .


სკინინგის შემდგომი კონსულტაცია 1182.

ქვეპროგრამულ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მიხედვით გამოკვლეულ ბენეფიციართა 32 %-ში გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები, რომელთა 29%-ში ისინი სიცოცხლეში პირველად იქნა დიაგნოსტირებული.

პროგრამულად გამოვლენილი პათოლოგიები და მდგომარეობები მ.შ. სიცოცხლეში პირველად დიაგნოსტირებული აჭარა, 2013 წელი



პირველადი პათოლოგიები ექიმ-სპეციალისტთა მიხედვით, აჭარა, 2013წ



იმუნიზაციის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფლება-მოვალეობებში განისაზღვრება ასაცრელი და სხვა სახარჯი მასალის ლოჯისტიკა, მიღება-ხარჯვის მონიტორინგი, "ცივი ჯაჭვის" მონიტორინგი, ვაქცინოპროფილაქტიკის მართვის ხელშეწყობა.

ამ მიზნით ცენტრმა მიიღო და ამცრელი უბნების (ფიზიკური/იურიდიული პირები) დონეზე გასცა ასაცრელი და სხვა სახარჯი მასალა, განახორციელა - "ცივი ჯაჭვის" ინვენტარიზაცია, ამცრელი უბნების დონეზე დამხმარე ზედამხედველობა და მონიტორინგი, ასევე ასაცრელი მასალის ხარჯვის მონიტორინგი.

იმუნიზაციის 2013 წლის შედეგები ცალკეული ანტიგენისა და ადმინისტრაციულ/ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით

ანტიგენი	ადმინისტრაციულ/ტერიტორიალური ერთეული						
	ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო	აჭარა
hib	95	91	100	93	100	94	95
MMR-1	93	97	96	98	94	91	94
DPT-R1	100	100	100	96	92	100	100
MMR-2	85	80	100	98	93	94	90
DT	100	98	100	100	97	86	100
Td	62	88	92	99	95	87	80
HB-0	85	90		85	96	97	86
BCG	97	100		86	93	100	97
OPV-3	94	91	100	93	99	95	95
OPV-R1	84	93	93	98	93	99	90
OPV-R2	87	86	98	98	97	95	90

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ ჩატარდა-ვაქცინოპროფილაქტიკის, ეპიდზედამხედველობის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ხარისხის, ასევე აჭარის საჯარო და სხვა დაქვემდებარების სკოლებში ექიმ-სპეციალისტთა ბრიგადების მიერ 1-8 კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გასინჯვების მიმდინარეობის 911 მონიტორინგი.

ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგი, 2013წ

№	მუნიციპალიტეტი	ვაქცინოპროფილაქტიკის- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში	ეპიდზედამხედველობის- მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში	„მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა) – ქვეპროგრამის მონიტორინგი	ჯამი
1	ბათუმი	100	101	30	231
2	ქობულეთი	89	45	31	165
3	ხელვაჩაური	109	37	23	169
4	ქედა	38	31	28	97
5	შუახევი	52	44	30	126
6	ხულო	71	29	23	123
7	ჯამი	459	287	165	911


2013 წლის მე-40 კვირიდან გრიპის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რისკ-ჯგუფებისათვის მოწოდებულ იქნა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აცრილი იქნა: დიალიზზე მყოფი პაციენტი-211, დიაბეტიანი ბავშვი-17, სამედიცინო პერსონალი -50.

„წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N273 განკარგულების ფარგლებში ჩატარდა სულ წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო 3355 აცრა, მ.შ. არასრულად აცრილ ბავშვებში-912, დაავადებულთან კონტაქტირებულებში -1476 და სამედიცინო პერსონალში -967. ხოლო 2013 წლის 30 ივლისის N1008 განკარგულებითა და 2013 წლის 17 დეკემბრის N1976 განკარგულებით შესული ცვლილებების გათვალისწინებით 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგიონში ჩატარდა წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო 3985 აცრა.


2013 წლის განმავლობაში ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში სადიაგნოსტიკო ტესტებით გამოკვლეულ იქნა: ბ ჰეპატიტის სადიაგნოსტიკო ტესტით -5844 ორსული, აივ/შიდსის სადიაგნოსტიკო ტესტით - 5686 ორსული, სიფილისის- 5542 ორსული. ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით იმუნიზირებული იქნა 162 ბავშვი.

• სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

2013 წლის განმავლობაში სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს დასარეგისტრირებლად მომართა 4689 სამუშაოს მაძიებელმა, გაიგზავნა 8467 ადამიანის cv, 2700 გაიგზავნა გასაუბრებაზე ხოლო მიეწოდა ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ რაზეც უარი განაცხადა 1341 სამუშაოს მაძიებელმა; დასაქმდა სულ 2228-ადამიანი



სულ დასაქმდა 2228 ბენეფიციარი, მათგან 1161 - გრძელვადიან, 784 -დროებით , ხოლო 283 - ერთჯერად სამუშაოზე



დასაქმებულები განყოფილებების მიხედვით

განხორციელებული პროექტები

„პროფესიული გადამზადების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქვეპროგრამა „სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გადამზადება“. ქვეპროგრამის მოსარგებლე 200 ბენეფიციარი შეირჩა მუნიციპალიტეტების მიხედვით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. სწავლება განხორციელა ქობულეთის საზოგადოებრივმა კოლეჯმა „ახალი ტალღა“. ბენეფიციარებმა გაიარეს პროფესიული გადამზადების სამ თვიანი კურსები შემდეგ სპეციალობებში: ავტომობილის ზეინკალი, სტილისტი, მზარეული და მეფილე-მომპირკეთებელი. ქვეპროგრამის დასრულების შემდეგ თითოეულ ბენეფიციარს გადაეცა პროფესიული გადამზადების დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი.

- ❖ დასაქმების სფეროში შეთანხმებული პრინციპებისა და მიდგომის აუცილებლობის გათვალისწინებით ასევე აჭარის რეგიონში პრობაციონერთა დასაქმების ხელშეწყობისა და მათი რესოციალიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ა.რ. დასაქმებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის.

- ✓ 5 პრობაციონერი გადამზადდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში, 2 პრობაციონერი დასაქმდა.

